140
1961

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პიონერი 11
1961

ᲓᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲫᲠᲝᲑᲘᲡᲙᲔᲜ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომუნისტური საზოგადოების აშენების პროგრამა

(საუბარი მეორე)

ჩვენ გავეცანით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამის პირველ ნაწილს და უკვე ვიცით, რომ კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლა კაცობრიობის განვითარების გზაა. ახლა გავეცნოთ პროგრამის მეორე ნაწილს — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ამოცანებს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.

პირველყოვლისა, საჭიროა ვიცოდეთ: რას წარმოადგენს კომუნიზმი?

კომკავშირის III ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში ვ. ი. ლენინმა იგი ასე განმარტა:

— კომუნისტი ლათინური სიტყვაა. კომუნისტი წარმოსდგება სიტყვა საზოგადოსაგან. კომუნისტური საზოგადოება ნიშნავს იმას, რომ ყველაფერი საზოგადოა: მიწა, ფაბრიკები, საერთო შრომა, — აი რა არის კომუნიზმი.

კომუნიზმი უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წარმოების განუწყვეტელ განვითარებას და შრომის მაღალ ნაყოფიერებას მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფი განვითარების საფუძველზე. ეს იმას ნიშნავს, რომ კომუნიზმის დროს ადამიანს ექნება ყველაზე სრულყოფილი და მძლავრი ტექნიკა, რაც მას საშუალებას მისცემს დაიმორჩილოს ბუნება. მიღწეული იქნება მთელი საზოგადოებრივი მეურნეობის გეგმაზომიერი ორგანიზაციის უმაღლესი საფეხური, რათა ყველაზე გონივრულად გამოვიყენოთ სიმდიდრე საზოგადოების წევრთა მზარდი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. კომუნიზმის დროს სავსებით გაქრებიან კლასები, ფიზიკური შრომის მუშაკები თავიანთი კულტურულ-ტექნიკური დონით გონებრივი შრომის ადამიანთა დონეს მიაღწევენ და მოისპობა გონებრივსა და ფიზიკურ შრომას შორის განსხვავება. სულ უფრო კეთილმოწყობილი გახდება სოფელი, რომელიც მოსახლეობის კეთილდღეობის დონით ქალაქის დონეს მიაღწევს და მათ შორის განსხვავება აღარ იქნება. კომუნიზმის დროს ყველა ადამიანს ექნება თანასწორი მდგომარეობა საზოგადოებაში, მთლიანად გაიშლება თავისუფალი ადამიანის ნიჭი და ტალანტი, საუკეთესო ზნეობრივი თვისებები, შრომითი საქმიანობა აღარ იქნება მხოლოდ ცხოვრების საშუალება და იგი ჭეშმარიტ შემოქმედებად, სიხარულის წყაროდ გადაიქცევა. მოხდება ერების ერთმანეთთან სულ უფრო მეტი და ყოველმხრივი დაახლოვება ეკონომიური, პოლიტიკური და სულიერი ინტერესების სრული ერთიანობის, ძმური მეგობრობისა და თანამშრომლობის საფუძველზე.

კომუნიზმის დიდი შენობა საბჭოთა ხალხის — მუშათა კლასის, გლეხობის, ინტელიგენციის ბეჯითი შრომით შენდება. რაც უფრო წარმატებით შრომობენ ისინი, მით უფრო ახლოვდება დიადი მიზნის განხორციელება — კომუნისტური

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი ს სახელობის ნორჩ
პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

რედაქტორი რევაზ მარგიანი
სარედაქციო კოლეგია: შ. ბერიანიძე, მ. ლებანიძე (პ/მგ. მდივანი)
მარიჯანი, რ. ჭორქია, რ. ელანიძე, გ. ფოცხიშვილი
(სამხატვრო რედაქტორი)

ვამოცემის წელი
XXXV

პიონერი 11 1961

845-4

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოების აშენება. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ამოცანები კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში ხორციელდება თანმიმდევრული ეტაპებით ანუ საფეხურებით. უახლოეს ათწლეულში (1961-1970 წლები) საბჭოთა კავშირი, რომელიც ქმნის კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ გაუსწრებს კაპიტალიზმის ყველაზე მძლავრ და მდიდარ ქვეყანას — ამერიკის შეერთებულ შტატებს. **მეორე ათწლეულში** (1971-1980 წლები) შეიქმნება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მთელი მოსახლეობისათვის უზრუნველყოფილი იქნება მატერიალური და კულტურული სიკეთის სიუხვე; საბჭოთა საზოგადოება უშუალოდ მივა მოთხოვნილებათა მიხედვით განაწილების პრინციპის განხორციელებასთან და მოხდება თანდათანობითი გადასვლა ერთიან, საერთო-სახალხო საკუთრებაზე. ამრიგად, **სსრ კავშირში ძირითადად აშენდება კომუნისტური საზოგადოება. კომუნისტური საზოგადოების მთლიანად აშენება დამთავრდება მომდევნო პერიოდში.** როგორც ხედავთ, კომუნისტური საზოგადოების აშენება საბჭოთა ხალხის უშუალო პრაქტიკული ამოცანა გახდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თქვენ, დღევანდელი პიონერები აქედანვე უნდა ემზადებოდეთ ახალი საზოგადოების პრაქტიკულ მშენებლობაში მონაწილეობისათვის და იზრდებოდეთ ყოვლმხრივ განვითარებულ ადამიანებად, რადგან თქვენ იცხოვრებთ, იმუშავებთ და საზოგადოებრივ საქმეებს განაგებთ კომუნიზმის დროს. ამიტომაა აუცილებელი ვიცოდეთ რა ამოცანებს ისახავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.

პარტიისა და საბჭოთა ხალხის მთავარი ეკონომიური ამოცანა ის არის, რომ უახლოესი ოცი წლის მანძილზე შექმნან **კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.** ეს ნიშნავს: ჩვენი ქვეყნის სრულ ელექტროფიკაციას და ამ საფუძველზე ტექნიკის, ტექნოლოგიისა და საზოგადოებრივი წარმოების ორგანიზაციის სრულყოფას მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში. სახალხო მეურნეობის მთლიან მექანიზაციას და ავტომატიზაციას, ქიმიის ფართოდ გამოყენებას სახალხო მეურნეობაში. ბუნებრივი რესურსების ყოველმხრივ გამოყენებას, ახალ სახეობათა ენერგიის და მასალების ყოველმხრივ განვითარებას. ეს აგრეთვე ნიშნავს მშრომელთა მაღალ კულტურულ-ტექნიკურ დონეს და მნიშვნელოვან უპირატესობას ყველაზე განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების წინაშე შრომის ნაყოფიერების მხრივ, რაც კომუნისტური წყობილების გამარჯვების უმნიშვნელოვანესი პირობაა.

ამ მიზნით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ითვალისწინებს გავადიდოთ სამრეწველო პროდუქციის მოცულობა უახლოესი 10 წლის განმავლობაში — დაახლოებით ორნახევარჯერ და გადავაჭარბოთ ამერიკის შეერთებული შტატების სამრეწველო წარმოების თანამედროვე დონეს. ხოლო 20 წლის განმავლობაში — სულ ცოტა ექვსჯერ და დიდად გავუსწროთ ამერიკის შეერთებული შტატების სამრეწველო წარმოების თანამედროვე მოცულობას. მრეწველობის ასეთი სწრაფი განვითარებისათვის საჭიროა მანქანათმშენებლობისა და ქიმიური მრეწველობის განვითარება, ლითონისა და სათბობის, სამშენებლო მასალების, ყველა სახეობის ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, სახალხო მოხმარების საგნებისა და განსაკუთრებით ელექტროენერგიის წარმოების შემდგომი მნიშვნელოვანი გადიდება. ელექტროენერგიისა იმიტომ, რომ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში პარტია ხელმძღვანელობს ვ. ი. ლენინის გენიალური ფორმულით: **„კომუნიზმი — ეს არის საბჭოთა ხელისუფლება პლუს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია“.**



კომუნიზმის აშენების აუცილებელ პირობას, მძლავრ მრეწველობასთან ერთად, წარმოადგენს აყვავებული, ყოველმხრივ განვითარებული და მაღალპროდუქტიული სოფლის მეურნეობის შექმნა.

სოფლად პარტია საჭიროდ თვლის ორი ძირითადი, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ამოცანის გადაწყვეტას: 1) მივაღწიოთ კვების მაღალხარისხოვანი პროდუქტების სიუხვეს მოსახლეობისათვის და ნედლეულის სიუხვეს მრეწველობისათვის; 2) უზრუნველვყოთ საბჭოთა სოფლის თანდათანობით გადასვლა კომუნისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობაზე და ძირითადად აღმოვფხვრათ განსხვავება ქალაქსა და სოფელს შორის.

პირველი ამოცანის — მოსახლეობისათვის მაღალხარისხოვანი პროდუქტების და მრეწველობისათვის ნედლეულის სიუხვის — განხორციელება მჭიდ-

როდ არის დაკავშირებული სოფლად საზოგადოებრივ ურთიერთობათა გარდაქმნა მნიშვნელობა და კოლმეურნეობების, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობების კომუნიზმის გზით განვითარებასთან. საქმე იმაშია, რომ გარკვეულ საფეხურზე კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობა მიაღწევს განვითარების ისეთ დონეს, როცა შესაძლებელი გახდება მის ხარჯზე სავსებით დაკმაყოფილდეს კოლმეურნეთა მოთხოვნილებანი, ამასთან დაკავშირებით პირადი დამხმარე მეურნეობა აღარ იქნება საჭირო და კოლმეურნეები ნებაყოფლობით იტყვიან უარს მასზე, რაც იმას ნიშნავს, რომ პირადი საკუთრება სოფლად დაკარგავს თავის მნიშვნელობას. საზოგადოებრივი სიმდიდრის ზრდასთან ერთად კოლმეურნეობები სულ უფრო მეტად მიიღებენ მონაწილეობას ელექტროსადგურების, კლუბების, სკოლა-ინტერნატების, საავადმყოფოების, დასასვენებელი სახლებისა და ტრანსპორტირების საწარმოთა ერთობლივი გაერთიანებული ძალებით მშენებლობასა და შექმნაში. ასე რომ, ეს საწარმოები და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებები მარტო ერთი კოლმეურნეობის საკუთრება კი აღარ იქნება, არამედ, რამდენიმესი ერთად, რაც ხელს შეუწყობს საკოლმეურნეობათშორისო კავშირის განვითარებას და თანდათან მისცემს საკოლმეურნეო-კოოპერატიულ საკუთრებას საერთო-სახალხო ხასიათს. შეიცვლება შრომის ანაზღაურების წესიც. იგი ისეთი გახდება, როგორც საერთო-სახალხო საწარმოებშია. კოლმეურნეები მიიღებენ პენსიას და შვებულებებს საკოლმეურნეო და სახელმწიფო სახსრების ხარჯზე. განვითარების დიდ გზას გაივლიან საბჭოთა მეურნეობებიც, რომლებიც მომავალში გახდებიან მარცვლეულის, ბამბის, ხორცის, რძის, მატყლის, ბოსტნეულის, ხილისა და სხვა პროდუქტების მექანიზებული და კარგად ორგანიზებული პირველხარისხოვანი ფაბრიკები. თანდათანობით საკოლმეურნეო სოფლები გარდაიქმნება ქალაქის ტიპის გამსხვილებულ დასახლებულ პუნქტებად, სადაც იქნება კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლები, საყოფაცხოვრებო საწარმოები, კულტურული და სამედიცინო დაწესებულებანი. საბოლოო ანგარიშით, როგორც უკვე ვთქვით, ცხოვრების კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების მხრივ სოფლის მოსახლეობა გაუთანასწორდება ქალაქის მოსახლეობას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია სახავს მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ამოცანას — უზრუნველყოს საბჭოთა კავშირში ცხოვრების ყველაზე მაღალი დონე, კაპიტალიზმის ყოველ ქვეყანასთან შედარებით. ამ მიზნით მომავალი 20 წლის მანძილზე ერთ სულ მოსახლეზე რეალური შემოსავალი გადიდდება სამნახევარჯერ და მეტად, თანდათანობით შემცირდება განსხვავება მაღალ და შედარებით დაბალ შემოსავალს შორის, უფასო იქნება ტრამვაი, ტროლეიბუსი, ავტობუსი, მეტრო, აგრეთვე სანატორიუმებით, მედიკამენტებით, წყლით, გაზით და სათბობით სარგებლობა. პროგრამა მიზნად ისახავს სამუშაო დროის შემცირებას და შრომის პირობების შემდგომ გაუმჯობესებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამა ითვალისწინებს, რომ ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების გეგმების შესრულება შეესაძლებელია მშვიდობიან პირობებში. ამიტომ საბჭოთა კავშირი მტკიცედ იბრძვის იმისათვის, რომ განხორციელდეს მის მიერ წამოყენებული წინადადებანი საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ მტკიცე საერთაშორისო კონტროლით. მაგრამ, იმპერიალისტური სახელმწიფოები ჯიუტად ამბობენ უარს მიიღონ ეს წინადადებანი და კვლავ ზრდიან თავიანთ შეიარაღებულ ძალებს. ამიტომ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას მიაჩნია, რომ სოციალისტური სამშობლოს დაცვა, სსრ კავშირის თავდაცვის, საბჭოთა შეიარაღებული ძალების ძლიერების, არმიისა და ხალხის ერთიანობის განმტკიცება, მეომრების აღზრდა მამაცობის, გულადობისა და გმირობის, საბჭოთა სამშობლოს დაცვისათვის ყოველ მომენტში მზადყოფნის სულისკვეთებით პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის წმინდა მოვალეობაა.

პირველი საუბრიდან თქვენ უკვე იცით, როგორ გაჩდნენ მონები და მათი მფლობელები. მონათმფლობელებს თავიანთი ბატონობის შესანარჩუნებლად ესაჭიროებოდათ ისეთი იარაღი, რომელიც მორჩილებაში იყოლიებდა მონებსა და ღარიბებს. ასეთი იარაღი იყო სახელმწიფო. ამგვარად, სახელმწიფო წარმოიშვა საზოგადოების მტრულ კლასებად დაყოფის საფუძველზე. წარმოიშვა იმისათვის, რომ გაბატონებულ უმცირესობას, რომელმაც ხელში ჩაიგდო სიმდიდრე და ძალაუფლება, მორჩილებაში ყოლოდა მშრომელი ხალხი — ექსპლოატირებული უმრავლესობა, ამისათვის კი სახელმწიფოს ესაჭიროება: არმია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამსჯელი ორგანოები და საპატიმროები, დაზვერვა. ასე იყო მოსახლეობელური წყობილებისა და ფეოდალიზმის დროს, ასეა კაპიტალიზმის დროს. ოქტომბრის რევოლუციისა და ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შედეგად მოისპო ექსპლოატირებული კლასები და ამასთან დაკავშირებით გაქრა მათი წინააღმდეგობის დათრგუნვის აუცილებლობა. ამიტომ, საბჭოთა არმიის, დამსჯელი ორგანოებისა და დაზვერვის მახვილი მიმართულია არა ქვეყნის შიგნით, არამედ მის გარეთ, გარეშე მტრების წინააღმდეგ. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო სოციალისტური სახელმწიფოს მთავარი ამოცანის, მისი მთავარი ფუნქციის სამეურნეო-ორგანიზატორული და კულტურულ-აღმზრდელობითი საქმიანობის ყოველმხრივ განვითარებას და სახელმწიფოს გადაზრდას სოციალისტური საზოგადოების მშრომელთა საყოველთაო-სახალხო ორგანიზაციად. პროლეტარიატის დიქტატურამ, რომელმაც უზრუნველყო კომუნიზმის პირველი ფაზის — სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვება, შეასრულა თავისი ისტორიული მოვალეობა და ქვეყნის შინაგანი განვითარების თვალსაზრისით იგი სარ კავშირში აუცილებელი აღარ არის. ამგვარად, სახელმწიფო, რომელიც წარმოიშვა როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო, გადაიქცა საერთო-სახალხო სახელმწიფოდ, მთელი ხალხის ინტერესებისა და ნების გამოხატვის ორგანოდ. პროლეტარული დემოკრატია თანდათან და სულ უფრო მეტად იქცეოდა საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ დემოკრატიად. სოციალისტური სახელმწიფოებრიობის განვითარება თანდათან გამოიწვევს მის გარდაქმნას საზოგადოებრივ კომუნისტურ თვითმმართველობად, რომელშიც გაერთიანდებიან საბჭოები, პროფესიული, კოოპერატიული და მშრომელთა სხვა მასობრივი ორგანიზაციები. გაიზრდება როლი ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირისა, როგორც ახალგაზრდობის თვითმოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციისა. ეს პროცესი მომასწავებელი იქნება დემოკრატიის შემდგომი განვითარებისა, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების ყველა წევრის აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივი საქმეების მართვაში. მეურნეობისა და კულტურის ახლანდელი სახელმწიფო ორგანოების ნაცვლად იქნებიან საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანოები. მაგრამ, რამდენადაც მუშათა კლასი საბჭოთა საზოგადოების ყველაზე მოწინავე, ორგანიზებული ძალაა, იგი თავის ხელმძღვანელ როლს გაშლილი კომუნისტური მშენებლობის პერიოდშიც განახორციელებს. საზოგადოების ხელმძღვანელის როლის შესრულებას მუშათა კლასი დაამთავრებს კომუნიზმის აშენებასთან ერთად, როცა გაქრებიან კლასები, რასაც გარდუვალად მოსდევს სახელმწიფოს კვდომა. სახელმწიფოს სრული კვდომისათვის უნდა შეიქმნას როგორც შინაგანი პირობები — განვითარებული კომუნისტური საზოგადოების აშენება, ისე გარეგანი პირობებიც — საერთაშორისო ასპარეზზე კაპიტალიზმსა და კომუნიზმს შორის წინააღმდეგობათა საბოლოოდ გადაჭრა კომუნიზმის სასარგებლოდ. კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდს ახასიათებს **კომუნისტური პარტიის, როგორც საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალის, როლისა და მნიშვნელობის შემდგომი ზრდა.**

ასეთია კომუნიზმის მშენებლობის სამუშაოთა პროგრამა, რომელსაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ისახავს.

ოთარ ქინქლაძე

ნახ. **თ. სამხონაძისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქმთხვევა ქოჩორა გორაზე

ივ. ურჯუმელაშვილი

მოთხრობა*

ხაა. ჯ. ლოლუასი

შუქმა კვლავ იელვა და ამჯერად უფრო დიდხანს ენთო.

— ბიჭებო, გამოქვაბულში ადამიანია! — თქვა კობამ.

— მართალი ხარ, მაგრამ ვინ არის იგი? — იკითხა გელამ.

— ჯაშუშია, — წაილაპარაკა ზურაბმა.

— საჭიროა ორივე მხრიდან მივიდეთ გამოქვაბულთან და შევძახოთ, რომ დაგვნებდეს. — მცირე ფიქრის შემდეგ თქვა კობამ.

— ჯაშუშები იშვიათად ნებდებიან, — მიუგო ცოტნემ.

— იქნებ მონადირეა, ან შეშაზე წამოსული კოლმეურნე, — თქვა ზურაბმა.

— ამ ადგილებში არც ნადირობენ, არც შეშაზე დადიან, — შენიშნა გელამ. — ჩემის აზრით, ის საზღვრის დამრღვევია, მაგრამ ვერაფრით ამიხსნია, რატომ ენთებს შუქს?

— ძნელია რამის თქმა. ეს კი ცხადია, მას რომ გაქცევა და მიმალვა უნდოდეს, შუქს როდი აანთებდა.

— მაშ, გავბედოთ და მივიდეთ, რაც იქნება, იქნება, — თქვა მტკიცედ გელამ.

— მივიდეთ. ის ერთია, ჩვენ კი — ოთხნი. ერთმა ოთხს რა უნდა დაგვაკლოს? — თქვა ზურაბმა.

— ვაი თუ ახლო მიგვიტყუოს და მერე რევოლვერი დაგვიშინოს! — წაილაპარაკა აკანკალებული ხმით ცოტნემ.

ბავშვებმა კიდევ დიდხანს იჩურჩულეს, ყოველივე აწონ-დაწონეს და გადაწყვიტეს: აქეთ-იქიდან, ორ-ორნი, მუცელზე ხოხვით მიახლოვებოდნენ გამოქვაბულს და თოფის სროლის მუქარით აეძულებინათ იგი გარეთ გამოსულიყო, იარაღი აეყარა და დანებებულიყო.

ბიჭები ოცი-ოცდაათი მეტრითღა იყვნენ გვირაბს დაცილებული, ხეებს ამოეფარნენ და კობამ ბოხი ხმით დაიძახა:

— ვინ ხარ გამოქვაბულში?

— თქვენ ვინღა ხართ? — გაისმა მღვიმედან ჩახლეჩილი ხმა.

— დაგვნებდი!

— რატომ მელაპარაკებით ასე?!

— მაშ, გარეთ გამოდი და იარაღი აიყარე!

გამოქვაბულში შუქი აინთო. მალე შესასვლელთან შავმა აჩრდილმა გამოჰყო თავი. ხელში ანთებული ჭრაქი ეჭირა და წაწოლილი გარეთ მოხოხავდა.

— გიბრძანებთ, იარაღი აიყაროთ და ჩვენსკენ გადმოისროლოთ! — ბრძანა გელამ.

— დანისა და ჩაქუჩის მეტი არაფერი მაქვს!

— ჩვენ ბევრნი ვართ, თოფებით შეიარაღებულნი, და წინააღმდეგობის გაწევა სრული უაზრობა იქნება.

უცნობმა უსიტყვოდ შეასრულა ბრძანება. დანა და ჩაქუჩი გელას ფეხებთან დაეცა.

— იარაღს მყრით, მატყვევებთ, მაგრამ ის მაინც გამაგებინეთ, ვინ ხართ? — იკითხა უცნობმა

— ამას მერე გაიგებთ. ახლა კი შესწყვიტეთ ლაპარაკი! — მიუგო კობამ და დაუსტვინა.

* * *

ბიჭები ორივე მხრიდან გაემართნენ გამოქვაბულისაკენ და უცნობს გარს შემოერტყნენ.

— მომისმინეთ, ახლავე გეტყვით ჩემს ვინაობას, — წაილაპარაკა უცნობმა.

— თქვენს ვინაობას იქ დაადგენენ, — მიუგო კობამ და ხელი სოფლისაკენ გაიშვირა. — უმჯობესია გვითხრა, სიარული შეგიძლია თუ არა?

— არა, სიარული არ შემიძლია. კლდიდან გადმოვვარდი და ფეხი მაქვს მოტეხილი.

ბავშვებმა გადაწყვიტეს ღამე გამოქვაბულში გაეთიათ. დილით კი პატარა მარხილს გააკეთებდნენ და უცნობს საგუშაგო რაზმში მიიყვანდნენ. ზურაბი და ცოტნე ფიჩხის მოსაგროვებლად წავიდნენ. კობა და გელა კი უცნობს დარაჯობდნენ. როცა მღვიმეში ცეცხლი გააჩაღეს, ბავშვებმა იგი შიგ შეიყვანეს. კოცონის ერთ მხარეს ბიჭები ისხდნენ, მეორე მხარეს უცნობს მოეკალათა.

შუახნის კაცი იყო. ლამაზად შეკრეჭილი წვერითა და მომცინარე თაფლისფერი თვალებით. ბავშვებს ულიმოდა.

— ჰა, ბიჭებო, რას იტყვით, ცეცხლს ხომ არაფერი შეედრება ზამთარში! — ამბობდა სიცილით და ხელებს ცეცხლის ალზე ატრიალებდა.

---

* დასასრული. იხ. „პიონერი“ № 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვები დუმდნენ. ცნობისმოყვარეობით შესცქეროდნენ უცნობს და მისი სახის ნაკვთებს აკვირდებოდნენ.

— ერთი ეს მითხარით, ბიჭებო, საიდან გაჩნდით ასე გვიან ტყეში?— მცირე დუმილის შემდეგ იკითხა ტყვემ.

ბავშვებმა არაფერი უპასუხეს.



—არ გინდათ ამ კითხვაზე მიპასუხოთ, არა? — თავი ჩაიქნია. — მაშ, ეს მაინც მითხარით, რას აკეთებდით ასე გვიან ტყეში?

— ვნადირობდით, — მიუგო კობამ.

— რაზე ნადირობდით?

— რაც შეგვხვდებოდა იმაზე. ტყეში ათასნაირი ნადირი ბუდობს.

— მოხერხებული მონადირენი კი ყოფილხართ.

ერთხანს დუმილი ჩამოვარდა.

უცნობს ცეცხლისათვის თვალი გაეშტერებინა და რაღაცას ფიქრობდა.

— ყველა-ყველა, ბავშვებო, მაგრამ მე ვინ გგონივართ? — წაილაპარაკა მან და ბავშვებს სათითაოდ შეხედა.

— ბიჭებო, ამაზე სულაც არ გემდურით. სიფხიზლე ყოველთვის საჭიროა. თუ გინდათ იცოდეთ ვიხა ვარ, ან რა გადამხდა თავს, ახლავე გიამბობთ. შემდეგ ჩაახველა, უფრო ახლო მიუჯდა ცეცხლს და ხმადაბლა დაიწყო:

— მე გეოლოგი პროფესორი ვარ, გვარად სიდამონიძე. ექსპედიციას, რომელსაც ვხელმძღვანელობ, განზრახული აქვს შეისწავლოს ახლომახლო მთების ქანები. გუშინ ისე მოხდა, რომ ამხანაგებს ავცდი. კლდეზე ასვლისას ფეხი დამისხლტა, ხევში ჩავგორდი და ფეხი მოვიტეხე. ხევიდან დიდი წვალებით ამოვფოფხდი. დიდხანს ვყვიროდი, მინდოდა ამხანაგებისათვის ხმა მიმეწვდინა, მაგრამ ამაოდ. იმედდაკარგულმა ავიღე მოზრდილი ჯოხი და კოჭლობით გავუდექი გზას. ფეხი გამისივდა, თან ძალიან დავიღალე, არაქათი გამომეცალა. რა უნდა მექნა, ტყეში, ღია ცის ქვეშ ხომ არ გავათენებდი ღამეს? აქ გამოქვაბული მეგულებოდა და მეც აქეთ ავიღე გეზი. სიარული აღარ შემეძლო და მუცელზე მივხოხავდი. უცბად, ჩემს უკან გაურკვეველი ხმები მომესმა. მეგონა მშიერი მგლების ხროვა მომდევდა. შეუსვენებლივ მივხოხავდი, მინდოდა მღვიმემდე მიმეღწია.

მღვიმეში რომ მოვიკალათე, გადარჩენის იმედი მომეცა და გავმხნევდი. შესასვლელთან ჩავსაფრდი და მალულად გარეთ ვიხედებოდი. მხოლოდ ფიჩხის მტვრევის ხმა მესმოდა, დანახვით კი ვერაფერს ვხედავდი. იმის შიშით, მგლები გვირაბში არ შემოჭრილიყვნენ, შუქს ვანთებდი, მგელს ხომ შუქისა ეშინია. აბა, რა მომაფიქრებდა, რომ თქვენ იყავით, თქვე კუდრაჭებო...

ბავშვები დუმილით შესცქეროდნენ უცნობს. სჯეროდათ კიდეც მისი და არც სჯეროდათ.

„საკვირველია, — ფიქრობდა ზურაბი, — ჯაშუშები ხომ ბოროტი ხალხია. ეს კი კეთილი და თავაზიანია, თან რა ალერსიანად გველაპარაკება, ოდნავათაც არ ღელავს და თავი ისე უჭირავს, თითქოს თავისიანებშია. იქნებ იმის იმედი აქვს, ბავშვებს ადვილად გავაცურებ, მათი ტყეობიდან იოლად დავაღწევ თავს და სამშვიდობოზე გავალო. ამასაც ვნახავთ. არც ისეთი პატარები ვართ, როგორც ჰგონია. ერთი მშვიდობიანად გათენდეს ეს დაწყევლილი ღამე და მაშინ გამოჩნდება, საგუშაგო რაზმში როგორ ამოვაყოფინებთ თავს“.

* * *

კობამ გელას თვალით ანიშნა, გარეთ გამოდიო.

— გჯერა მისი ნათქვამი?

— მე მგონია, რომ უცნობი მართალს ლაპარაკობს, მაგრამ მაინც სიფრთხილეს თავი არა სტკივა.

გელა ამხანაგის სიტყვაზე ჩაფიქრდა და მიუგო:

— მართალი ხარ. ბრმად არ უნდა მივენდოთ უცნობს, ჯაშუშები დახელოვნებული არიან თვალთმაქცობაში.

კობამ ამხანაგებს სათითაოდ გამოუძახა და ყოველივე ეს უთხრა. ზურაბი მერყეობდა: ჯაშუშს რაღაც არ ჰგავს, მაგრამ თან ის მაეჭვებს, რომ ჩვენს მიდამოებში არ მახსოვს როდისმე ყოფილიყვნენ გეოლოგები. ცოტნე კი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ უცნობი პირწავარდნილი ჯაშუში იყო.

როცა მღვიმეში კობა და ცოტნე შემოვიდნენ, უცნობი კოცონს შემოსწოლოდა, თავქვეშ ხელები ამოეწყო და მშვიდად ეძინა. ბავშვებმა მოილაპარაკეს რიგრიგობით ორ-ორს ემორიგეთ გათენებამდე. კენჭი ყარეს და პირველად მორიგეობა კობასა და ცოტნეს ერგოთ. გელა და ზურაბი კი კუთხეში მიწვნენ დასაძინებლად. გვირაბში ბნელი ღამე იხედებოდა. მხიარულად გიზგიზებდა კოცონი და სიჩუმეს ხმელი ფიჩხის ტკაცუნი არღვევდა. ზურაბს უცბად ჩაეძინა.

კოცონი ნელა ჩაიფერფლა. კედლებმა თითქოს ახლო მოიწიეს და მღვიმეში კიდევ უფრო ჩამობნელდა. უფრო იდუმალი გახდა გამოქვაბულის მიღმა ჩამოწოლილი ღამე და თოვლით დაფარული ტყე. ცოტნე არ ინძრეოდა. ბოლოს, ცეცხლიდან განზე გაიწია, კედელს მიეყრდნო და ხანჯლის ტარს ღონივრად მოუჭირა ორივე ხელი. დიდხანს იჯდა ასე თვალებდახუჭული. ფაჩაფუჩი და მძინარე ამხანაგების ჩახველებაც კი აკრთობდა. ნელ-ნელა რაღაც უჩვეულო ბურუსში გაეხვია და ტკბილი ხვრინვა ამოუშვა.

ცოტნეს რომ ჩაეძინა, კობამ თვალები გაახილა. ისე საცოდავად მოკუნტულიყო უმცროსი ამხანაგი, თან ისე გემრიელად ეძინა, რომ შეებრალა და არ გააღვიძა.

კობამ კოცონს ფიჩხი დააყარა. გამოქვაბული განათდა. ჩაძინებულ ამხანაგებს თვალი მოავლო და მზერა უცნობზე შეაჩერა.

მარჯვენა გვერდზე იწვა. ორივე ხელი ფეხებშუა შეეწყო, თავი მოხრილ მხრებში ჩავარდნოდა. კოცონის მკრთალი შუქი უფრო აყვითლებდა მის ისედაც ფერმკრთალ სახეს. წარბები შეჰკვროდა, შუბლზე ემჩნეოდა, რომ დიდი ტანჯვა-წამება გამოეცვლო და ახლაც ტკივილები სტანჯავდა. კობამ თავი ხელებში ჩარგო და ცეცხლს გაუშტერა თვალი.

ნუთუ ჯაშუშია? ნეტავი ვინ აიძულებს ამ ადამიანებს ხელი მოჰკიდონ ასეთ ბინძურ საქმეს? ნუთუ არ შეუძლიათ კეთილად იცხოვრონ და

იშრომონ. აი, ისე, როგორც შრომობენ და ცხოვრობენ მათი სოფლის ადამიანები. განა ასე არ აჯობებდა? გელას თქმისა არ იყოს, იქნებ ამ ღამით მასთან ერთად სხვებმაც დაარღვიეს საზღვარი და დათქმული აქვთ ამ გამოქვაბულში თავის მოყრა.

კობას ტანზე შიშის ეკალმა დააყარა. მუხლები აუკანკალდა, სუნთქვა შეეკრა. ნუთუ ეს შიშია?! არა, ის მხდალი არ არის და არაფრისაც არ ეშინია. წამოდგა. ზედიზედ ჩაახველა, თოფი მოიმარჯვა და გარეთ გავიდა. მიძინებული არემარე ხან მთვარის შუქით ნათდებოდა, ხან შავად იმოსებოდა. მშვიდად იდგნენ დათოვლილი წიფლები. ჰაერი არ იძროდა, ყველაფერს ეძინა, ყველაფერი მიყუჩებულიყო. უცებ ტყის სიღრმიდან რაღაც ხმაური შემოესმა. ყურები ცქვიტა, გაინაბა, მაგრამ ხმაური მიწყდა. უძრავად იდგა. გასცქეროდა ჩამობნელებულ ტყეს.

უფრო ახლო და გარკვევით გაისმა ხმაური. თითქოს ვიღაც მოდიოდა. კობას ელდა ეცა. მღვიმეში შეიჭრა. გელა შეანჯღრია და წასჩურჩულა:

— ადექი, ჩქარა ადექი, გამოქვაბულს ვიღაცები უახლოვდებიან.

გელა დამფრთხალი ჩიტივით წამოფრინდა. ზურაბი და ცოტნეც გაიღვიძეს.

ცოტნე წამოჯდა. თვალებს იფშვნეტდა, შეუმჩნევლად კუთხისაკენ მიიწევდა და ფეხზე ადგომას ვერ ბედავდა. ბიჭები უძრავად იდგნენ და ერთმანეთს შესცქეროდნენ.

—როგორ მოვიქცეთ?! — ეკითხებოდნენ ისინი ერთმანეთს თვალებით და ხმის დაძვრას ვერ ბედავდნენ.

უცნობი შეიშმუშნა. წამოჯდა. შეშფოთებული ბავშვები რომ დაინახა, შეეკითხა:

— რა მოხდა, რა ამბავია?

— გამოქვაბულს ვიღაცები უახლოვდებიან, — მიუგო შემკრთალი ხმით კობამ.

— ნუ გეშინიათ, ბიჭებო, ალბათ ჩვენ გვეძებენ! — თქვა დამშვიდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით უცნობმა და კოცონს ფიჩხი დააყარა. გამოქვაბულის შორიახლო წკმუტუნი გაისმა, რამაც ბავშვები უფრო შეაკრთო. უკან დაიხიეს და კედელს გაეკვრნენ.

— ეი, ვინ ხართ?

— თავად ვინა ხართ? — გაისმა ბოხი ხმა.

ბავშვებმა ხმით იცნეს, რომ ეს იყო სერჟანტი პეტროვი, რომელიც საშვიდნოემბროდ წარჩინებული მესაზღვრის ნიშნით დააჯილდოეს.

პირველად გარეთ კობა გაიჭრა. ამხანაგები ფეხდაფეხ გაჰყვნენ. უცბად ძაღლის ანთებული თვალების მეტი ვერაფერი დაინახეს. სიბნელეს თვალი რომ შეაჩვიეს, შორიახლო სამი მესაზღვრე იდგა. ერთი მათგანი ძლივს აკავებდა ძაღლს, რომელიც უკანა ფეხებზე დგებოდა და წინ გაჭრას ლამობდა.

— ბიჭებო, თქვენ რაღა გინდათ აქ? — იკითხა ბავშვების დანახვით განცვიფრებულმა სერჟანტმა.

— უცნობი დავაკავეთ! — მოახსენა კობამ.

— ვინ უცნობია?!

— თავს გეოლოგ პროფესორად ასაღებს.

სერჟანტს არაფერი უთქვამს. იგი აჩქარებული ნაბიჯით გამოქვაბულში შევიდა. ბავშვებიც ფეხდაფეხ შეჰყვნენ.

— თქვენ პროფესორი სიდამონიძე ბრძანდებით? — მიმართა უცნობს სერჟანტმა.

— დიახ, პროფესორი სიდამონიძე გახლავარ.

ბიჭები პირში ჩალაგამოვლებული იდგნენ, კეფას იფხანდნენ და სირცხვილით პროფესორისაკენ ვერ იხედებოდნენ.

მესაზღვრეები პროფესორს მხრებში შეუდგნენ და გარეთ გამოიყვანეს. მერე ხელები გადააჯვარედინეს, როგორც ბავშვები ამბობენ, ოქროს ტახტი გააკეთეს, ზედ პროფესორი დასვეს და სოფლისაკენ გაემართნენ. გზაზე ორთვალა ელოდებოდათ. პროფესორი ორთვალაზე ფრთხილად დააწვინეს. ბავშვებსაც უთხრეს თქვენც დასხედითო, მაგრამ ცოტნეს გარდა ყველამ იუარა, ფეხითაც შეგვიძლია სიარულიო. ცოტნემ კი პროფესორის ფეხთით მოიკალათა.

ბიჭები ხან აჩქარებული მიაბიჯებდნენ, ხან მირბოდნენ და ორთვალას არც ერთი ნაბიჯით უკან არა რჩებოდნენ. ბნელოდა, მაგრამ ბავშვები მაინც სცნობდნენ ნაცნობ ადგილებს. გაიარეს ისევ ის ტყე, გადაიარეს ის მთები, ხევები, მინდვრები, რომლებიც გუშინ გადალახეს და სოფელში შევიდნენ.

საგუშაგო რაზმის მეთაურის ოთახში შუქი ენთო. მესაზღვრეებმა პროფესორი ფრთხილად აიყვანეს კიბეზე და ოთახში შევიდნენ.

— თქვენც შემოდით, ბიჭებო! — მიმართა ბავშვებს სერჟანტმა.



როცა კიბეზე ადიოდნენ, გელამ და ზურაბმა კომბალი და ხიშტზე გაკეთებული ჯოხი კუთხეში მიმალეს. კობას თოფი ხელში ეჭირა, ცოტნეს პაპისეული ხანჯალი ჯოხივით მხარზე გაედო.

ოთახში კაპიტნის გარდა ორი უცნობი მამაკაცი იმყოფებოდა. პროფესორს ხელი ჩამოართვეს და გადაჰკოცნეს.

სერჟანტმა მოახსენა:

— ამხანაგო კაპიტანო, შევასრულეთ თქვენი ბრძანება, ვიპოვეთ პროფესორი სიდამონიძე.

— ყოჩაღ, ბიჭებო! — მიუგო კაპიტანმა და ბავშვებს მიუბრუნდა:

— თქვენ რაღა გინდოდათ ამ შუაღამისას ტყეში?

კობა წინ წარსდგა და ყველაფერი დაწვრილებით უამბო.

პროფესორი ცნობისმოყვარეობით უსმენდა, ერთთავად ეღიმებოდა, ალაგ-ალაგ კობას შეკითხვებს აძლევდა. განცვიფრებული იყო, ნუთუ მართლა ჯაშუშს ვგევარო. ბოლოს სიცილით თქვა:

— მართალია, ბიჭებო, დამატყვევეთ, ჯაშუშადაც მომნათლეთ, მაგრამ მაინც არ გემდურით. ეს მეტისმეტი სიფხიზლით მოგვიდათ, სიფხიზლეკი, მითუმეტეს საზღვარზე, ისევე საჭიროა, როგორც ჰაერი.

ბავშვები თავჩაღუნული იდგნენ, პროფესორს თვალს არიდებდნენ, არაფერს ამბობდნენ, ან რაღა ეთქმოდათ.

პროფესორი კაპიტანს მიუბრუნდა:

— ამხანაგო კაპიტანო, კარგი საიმედო ცვლა გეზრდებათ. მე მათში ვხედავ საშშობლოს მომავალ საიმედო დამცველებს.

— მართალია, შესცდით, მაგრამ მაინც ყოჩაღ, ბიჭებო! — მიმართა კაპიტანმა ღიმილით ბავშვებს და სათითაოდ ხელი ჩამოართვა.

ანეკდოტი

ჯერ მხოლოდ ცამეტი წლისაა და უკვე თითქმის თავისუფლად კითხულობს და თარგმნის.

აქაო და ინგლისური სხვაზე უკეთ ვიცი, სიამაყით ცხვირზე ბუზსაც არ იკარებს. ევროპელი კინომსახიობების მანერით ლაპარაკობს და თმასაც მათი მიბაძვით ივარცხნის, მაგრამ...

კარგად უთხრა თემურმა: — კინოფილმ „ჩხიკვთა ქორწილის“ პერსონაჟს უფრო ჰგავხარო. ოჰ, როგორ გაბრაზდა!

იმ დღეს სკოლაში ინგლისელი ტურისტები მოვიდნენ.

აქაო და ინგლისური სხვაზე უკეთ იცისო — პიონერხელმძღვანელმა ლია წარუდგინა სტუმრებს.

— რა გქვია, გოგონი?

— ლია.

— რამდენი წლისაა თბილისი?

— არ ვიცი.

— ვინ არის შენი საყვარელი მწერალი?

— არ ვიცი.

— ვინ შეადგინა „დედაენა“?

— არ ვიცი... არ ვიცი... — იმეორებს ლია და დაბნეულ თვალებში წინანდელი სიამაყის ნიშანწყალიც აღარ უჩანს. ასეთ შეკითხვებს არ მოელოდა.

დიახ, ლიამ ინგლისური ენა სხვაზე უკეთ იცის, მაგრამ საკუთარი სახელისა და „არ ვიცი, არ ვიცის“ უთვალავჯერ გამეორება სხვასაც ხომ შეეძლო?!

რევაზ მიშველიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლაკაკრიჟენ უეკრესი

* * *

პიონერული ორგანიზაცია დიდი დამხმარე ძალაა სკოლაში. იგი მოწოდებულია დეხმაროს მოსწავლეებს მაღალი აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინის განმტკიცებაში, ჩაუნერგოს მოსწავლეებს შრომის სიყვარული და პატივისცემა. ყოველივე ეს კარგად იციან ჩვენი სკოლების უფროსმა პიონერხელმძღვანელებმა და მასწავლებლებთან ერთად ისინი ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა უფრო საინტერესო, შინაარსიანი და ხალისიანი გახდეს სკოლის პიონერული ორგანიზაციის მუშაობა.

ჩვენი პიონერული კლუბის დღევანდელ სხდომაზე მოვიწვიეთ თბილისის რამდენიმე სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი. აი, რა გვიამბეს მათ თავიანთი მუშაობის შესახებ.

* * *

პიონერხელმძღვანელები

ციალა ლობჟანიძე

— ძვირფასო მეგობრებო! — განაცხადა თბილისის 88-ე საშუალო სკოლის უფროსმა პიონერხელმძღვანელმა ციალა ლობჟანიძემ, — მე მინდა გესაუბროთ ზოგიერთ ღონისძიებაზე, რომელმაც ერთგვარი სიხალისე შეიტანა ჩვენი სკოლის პიონერული ორგანიზაციის მუშაობაში. გასულ წელს, რაზმეულის საბჭოს ერთ-ერთ მორიგ სხდომაზე გადავწყვიტეთ, ჩვენი სკოლის პიონერული ორგანიზაციის მუშაობაში სიახლე შეგვეტანა. აი, ისიც: ჩვენს მიერ გამოშვებული კედლის გაზეთი-პლაკატი «ორწლედის გმირები სალაშქროდ»; იგი უდაოდ შეუწყობს ხელს აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას. გაზეთ-პლაკატზე დამაგრებულია ცალკეული რაზმების პაწია ალმები. ყოველი კვირის ბოლოს, როცა ჯამდება ცალკეული რაზმების აკადემიური მოსწრება, რაზმების ეს დროშები შესაბამისად მიიწევენ წინ, ორწლედის მწვერვალისაკენ. ცხადია, გაიმარჯვებს ის, ვინც პირველი მიაღწევს მიზანს.

რაზმეულის საბჭოს მორიგი სხდომა თბილისის 88-ე სკოლაში

გადაწყვეტილი გვაქვს მოვაწყოთ რაზმეულის შეკრება, რომელსაც «სამი თაობის ცვლა» ვუწოდებთ. ამ შეკრებაზე სკოლის ახლადმიღებული კომკავშირელები თავიანთ ყველახვევებს გადასცემენ ახლადმიღებულ მოწინავე პიონერებს. ამავე შეკრებაზე პიონერები პირველკლასელებს ოქტომბრელთა რიგებში იღებენ და მათ თავიანთნო ოქტომბრელის ნიშნებს უკეთებენ. იმისათვის, რომ ის ყველახვევები, რომლებსაც მოწინავე პიონერები მიიღებენ კომკავშირელებისაგან, განსხვავდებოდეს სხვებისაგან, მათზე ამოიქარგება ალწია ცისფერი ვარსკვლავი.

უფროსი პიონერხელმძღვანელი ცაცა ლობჟანიძე მუდამ ახლის ძიებაშია. ენთუზიაზმი და ინიციატივა ახასიათებს მის მუშაობას. მისი თაოსნობით სკოლაში დაწესდა ტრადიციული დღეები. ერთ-ერთ მათგანს «პირველი და უკანასკნელი ზარის» დღე ქქვია. იგი ყოველი ახალი სასწავლო წლის დაწყების პირველ დღეს იმართება. ამ დღეს მეათეკლასელები კეთილ მოსვლას უსურვებენ პირველკლასელებს და პირველ ზარს მათ არეკინებენ. «ეესახელებინოთ ჩვენი სკოლაო!»—ასხუნებენ პატარები და უკანასკნელი გაკვეთილიდან გამოსასვლელ ზარს მეათეკლასელები რეკენ.

ავთანდილ ჯოჯიტაძე

პიონერხელმძღვანელი ცაცა ლობჟანიძე ენერგიული და კარგი მუშაობისათვის მრავალჯერაა დაჯილდოებული ქების სიგელებითა და საპატიო ნიშნებით.

* * *

საინტერესოდ წარმართა თბილისის 87-ე საშუალო სკოლის პიონერული მუშაობა ავთანდილ გოგიტაძემ. უკვე რამდენიმე წელია ის აქ უფროს პიონერხელმძღვანელად მუშაობს. ავთანდილს უყვარს სკოლა და ბავშვები. იგი მუდამ მათთან არის და კარგად იცის თავისი პიონერების მისწრაფებანი და სურვილები. ამიტომაც გაბადა მათი პიონერული საქმიანობა შინაარსიანი და მიმზიდველი.

— ჩვენთან ტრადიციად იქცა ყოველი რაზმის ახალი წამოწყების განხილვა, — გვითხრა ავთანდილმა, — რამაც ბევრი კარგი საქმე გაგვაკეთებინა. ჩვენს რაზმეულს სკოლის ყოლაბაში 1500 მანეთის დანაზოგი აქვს. ერთხელ, მე-8 კლასის პიონერებმა თვითონ შეიღებეს საკლასო ოთახი. ნამუშევარი ყველას მოვგვწონა და რაზმეულის შეკრებაზე გადაგწყვიტეთ შეგვექმნა «ჭრიმის ბრიგადა», რომელიც უხელმძღვანელებდა დაზიანებული ნივთების შეკეთებას. მალე სკოლაში არ იყო არც ერთი დამტვრეული სკამი თუ შეუღებავი დაფა, მერხი თუ კარადა. დანაზოგი ფულით შევიძინეთ საჭირო ნივთები: დოდი, საცერი, ჭლაკატები, სკამები, კარადები, დაფები...

ხშირად ამ თანხიდან ჩვენს შორეულ მეგობრებს—მოძმე რესპუბლიკების პიონერებსა და დემოკრატიული ქვეყნების ბავშვებს ვუგზავნით ამანათებს, საქართველოს ხელფასა და ალბომებს. ისინიც ასევე გვპასუხობენ. გასულ წელს კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტმა ჩვენს რაზმეულს «მეგობრობის რაზმეული» უწოდა.

სასკოლო ბიბლიოთეკის გარდა რაზმებშიც გვაქვს საკუთარი ბიბლიოთეკები,—განაგრძო ავთანდილმა,—ბიბლიოთეკის გამგეები და ბიბლიოთეკარები თვით პიონერები არიან. პირველად ასეთი ბიბლიოთეკა გასულ წელს მეშვიდე კლასმა დააარსა. თინა კაკაშაძემ, ჩვენი რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარემ შემოიტანა ეს წინადადება. ყველას მოეწონა. გადაწყვეტილ შინიდან მოეტანათ მხატვრული ლიტერატურა, ვისაც რამდენი შეეძლო და რა სურდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ საკმაო რაოდენობის ლიტერატურა შეგროვდა და მეშვიდეკლასელებმა გახსნეს საკუთარი ბიბლიოთეკა. აქ წიგნს მკითხველები ზუსტად დანიშნულ დროზე აბრუნებენ და მერე აწყობენ წაკითხული წიგნების განხილვას.

ამ ბიბლიოთეკის დამაარსებლები ახლა მეოთხე კლასში არიან და უკვე 3000-მდე წიგნი აქვთ. როცა ისინი სკოლას დაამთავრებენ, ბიბლიოთეკას გადასცემენ პიონერებს, რომლებიც იმ დროს მეშვიდე კლასში იქნებიან. ასეთი ბიბლიოთეკების დაარსება ტრადიციად იქცა. მალე ყველა კლასს ექნება საკუთარი ბიბლიოთეკა.

ცაცა მამაოელაშვილი

* * *

ოქტომბრელებთან მუშაობისას განსაკუთრებულ ყურადღებას მესამეკლასელები სკენ მიგმართავთ, — გვეუბნება თბილისის მე-10 სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი ცაცა მამაოელაშვილი, — ეს ბავშვები მოთავალი პიონერები არიან. მათთან მუშაობის მეთოდები უნდა განსხვავდებოდეს იმ მუშაობისაგან, რასაც პიონერული აქტივი ოქტომბრელთა ჯგუფებში ეწევა.

ჩვენთან, სკოლაში ასე გაკეთება: პირველკლასელებთან მუშაობენ V-VI კლასელი პიონერები, მეორეკლასელებთან—მეშვიდეკლასელები და მესამეკლასელებთან—მერვეკლასელები.

თავიდანვე ჯგუფის ხელმძღვანელი პიონერები რაზმეულის საბჭოს მიერ შემოწმებულთა გეგმით იწყებენ მუშაობას. ამ გეგმაში წინასწარ არის შეტანილი მოსამზადებელი საკითხები. მომავალ პიონერებს ასწავლიან დიდი ლენინის ბიოგრაფიას, სიტყვა «პიონერის» მნიშვნელობას, აცნობენ გმირი პიონერების თავგადასავალს, წოთელი ყელსახვევის მნიშვნელობას და სხვ.

ხშირად ოქტომბრელები ესწრებიან პიონერული რაზმის შეკრებას. აქ ბავშვები ეცნობიან, თუ რა არის რაზმის შეკრება და როგორ ტარდება იგი. ვცდილობთ მთელი წლის მანძილზე მესამეკლასელებმა იცხოვრონ ნამდვილი პიონერული ცხოვრებით, მაგრამ არასოდეს არ გვავიწყდება, რომ ისინი ჯერ კიდევ პატარები არიან, ამიტომაც ხელმძღვანელი მათთან კვლავ პატარების გართობის საათს (შარადები, გასართობი, გამოცანები), აწყობს მასაობრივ თამაშობებს, უკეთესდ ეტერნალ-ვანატენ, ასწავლის ახალ ლექსებს და ა. შ. მეთოთხეში ერთხელ უტარებს გასართობის დიდ საღამოს ან მხატვრულ ლაშქრობას, რაც წარმოადგენს რაზმის შეკრების თავისებურ საუბქველს.

— იცით,—ღიმილით გვეუბნება ცაცა,—მესამეკლასელებისათვის პიონერად მიღების დღე არის დიდი სიხარულისა და ზეიმის დღე. მათ ყოველთვის ახსოვთ პირველი საზეიმოდ წარმოთქმული ფიცი და ყელზე მოხვეული პირველი ყელსახვევი,

თამაში—„მესამე ზედმეტია“ ძლიერ მოეწონათ პატარა ოქტომბრელებს

ნაზი ქილასონია

ჩვენი ხვეული

ამა, როგორ არ მიყვარდე,
ღვიძლ დასავით მეგასტეი.
პირველად შენ გაგვიკეთე
ალისფერი ყელსახვევი.
მერე ხელი შემოგვხვიე,
მიგვეკარი წრფელად გულთან
და გვითხარი: პიონერი
სასახელო იყოს უნდა!
მუდამ ჩვენკენ მოიქქარი,
არასოდეს გვიღალვინ;
დაგაღონებს ჩვენი ცქერი,
გაგახარებს ფრიადებით!

არ დაგვტოვებ არსად მარტო,
თან დაგვდევ და ყველგან გეშველი,
ვიღიმინან, ყველა გაგტყობს
ხელმძღვანელი რომ ხარ ჩვენი.
ბუნან ძერწვა შეგვასწავლე,
დღეს ალბომით გაგვახარე.

შიგ ჩაგწერეთ, რარიგ გვიყვარს
პატარებსაც ჩვენი მხარე.
რარიგ გვინდა დაგვატარო
ჩვენი მთა და ჩვენი მდელო,
შენი თვალით დაგვანახო
ხელმძღვანელო, საქართველო.

ვიღიმე და გვითხარი:
«ვაიზრდებით, გამახარებთ,
თქვენ მიეტანთ ჩვენს წრფელ სალამს
ვარსკვლავებს და ლამაზ მთვარეს!»
ოღონდ დღეს კი კარგი სწავლა,
კარგი შრომა არის საქმე...

გიხარია, როცა ვინმე
შენს პატარებს ბულით გვაქებს.
ჰოდა, როგორ არ გვიყვარდე,
ღვიძლ დასავით გვესახები,
ჩვენი ხარ და შენც გამშვენებს
ალისფერი ყელსახვევი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანე ტიტოვის ფრენის ზოგიერთი შედეგი

რედაქციაში მრავალი წერილი შემოვიდა, სადაც მოსწავლეები გვთხოვენ მოვუთხროთ რა შედეგებით დამთავრდა გერმანე ტიტოვის გაფრენა, ავუწეროთ რაკეტა „აღმოსავლეთი-2“.

რაზმრ არის მოწყობილი „აღმოსავლეთი-2“

პილოტის კაბინის გარე მხარე დაფარულია თბოდამცველი ფენით, რომელიც მას მაღალი ტემპერატურისაგან იცავს, როგორც ატმოსფეროს მკვრივ ფენებში გავლისას, ისე ძირის დაშვების დროს.

კაბინის კედელში მოთავსებულია სამი ფანჯარა ანუ ილუმინატორი და ორი სწრაფმოქმედი სარქველი. ილუმინატორი დაცულია თბოგაუმტარი მინებით, ასე რომ, კოსმონავტს ხელი არ ეშლება დაკვირვებაში. მზის კაშკაშა სხივებმა კოსმონავტს თვალები რომ არ დაუზიანოს, ილუმინატორები შიგნიდან ფარდებითაა დაფარული.

ხომალდის კაბინაში მოთავსებულია აპარატურა, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზმისათვის ნორმალურ პირობებს, აქვეა სამართავი მოწყობილობა; ოპტიკური ხელსაწყოები — ილუმინატორებიდან გარემოს თვალყურის სადევნებლად; სატელევიზიო კამერები — დედამიწიდან კოსმონავტზე დაკვირვების საწარმოებლად.

მეორე განყოფილებაში დადგმულია რადიომაუწყებლობა და სამართავი აპარატურა.

სავარძელი ისეა მოწყობილი, რომ ადამიანს გაუადვილდეს ხანგრძლივი ფრენა, ხოლო თუ საჭირო იქნა, მოწყდეს ხომალდს და კოსმონავტი დედამიწაზე ჩამოიყვანოს. სავარძელში არის ჟანგბადის მარაგი და სავენტილაციო მოწყობილობა, მასშივეა რადიოგადამცემი, პროდუქტები და პირველი მოთხოვნილების საგნების მარაგი. იმ შემთხვევაში, თუ კოსმონავტი წყალზე დაეშვა, ავტომატურად გაიშლება პატარა ნავი. ამის გარდა, თვით სკაფანდრიც ისეა მოწყობილი, რომ ადამიანი თავისუფლად იტივტივებს წყალზე 12 საათის განმავლობაში.

ხელით სამართავ ხელსაწყოებით კოსმონავტს შეუძლია როგორც სურს ისე წაიყვანოს რაკეტა და იქ დაეშვას, სადაც მოესურვება. საჭმელი (წვენი, შოკოლადი, პაშტეტი) სპეციალურ ტუმბებშია მოთავსებული, წყალი დახურულ ჭურჭელშია და დალევა მხოლოდ რეზინის მილის საშუალებით შეიძლება.

ძირს დაშვება ორგვარად ხდება: ხომალდით და უხომალდოდ. ტიტოვმა მეორე საშუალება გამოიყენა. დედამიწასთან ახლოს სავარძლიანად მოწყდა ხომალდს და პარაშუტით დაეშვა ძირს.

კოსმონავტ ხომალდთან კავშირი

საიმედო რადიოკავშირის მიზნით რაკეტაში დადგმულია ორმხრივი კავშირის სამი ხაზი. ორი — მოკლე ტალღებზე, ერთი — ულტრამოკლე ტალღებზე. მოკლე ტალღებით ტიტოვი უკავშირდებოდა დედამიწის თითქმის ყველა კუთხეს, ულტრამოკლე ტალღებს კი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გავლის დროს იყენებდა. ამის გარდა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხომალდზე ორი სატელევიზიო სისტემა იყო დადგმული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიცოცხლისათვის საჭირო პირობების შეზრუნველყოფა

კაბინაში ჰაერის ვენტილაცია ავტომატურად ხდება. სპეციალური აპარატები გამოყოფენ საჭირო ჟანგბადს, შთანთქავენ ადამიანის მიერ გამოყოფილ წყალბადს და სინესტეს. ამასთან „ჭკვიანი“ აპარატები თვითონვე ახდენენ რეგულირებას— თუ კოსმონავტის სუნთქვა აჩქარებულია, ჟანგბადს მეტს გამოყოფენ, თუ შენელებული—ნაკლებს. კოსმონავტს შეეძლო თვითონ შეექმნა სასურველი ტემპერატურა 10 გრადუსიდან — 22 გრადუსამდე.

უწონობის მდგომარეობა

კოსმოსური ფრენისათვის დამახასიათებელი უწონობის მდგომარეობა დღემდე კარგად არ იყო შესწავლილი. ტიტოვის ფრენის შემდეგ სურათი საკმაოდ გარკვეულია. უწონობის მდგომარეობამ, რომელიც კარგა ხანს გრძელდებოდა, კოსმონავტს არავითარი ზიანი არ მიაყენა. ტიტოვი გვიამბობს რომ უწონობის დროს წერდა, ჭამდა, სვამდა და სხვ. საერთოდ, შესანიშნავად გრძნობდა თავს. უწონობიდან ჩვეულებრივ მდგომარეობაში გადასვლისას კი განსაკუთრებული უსიამოვნება არ უგრძვნია.

როგორ მიმდინარეობდა ფრენა

გაფრენის წინ, როდესაც კოსმონავტი კაბინაში ჩაიკეტა და მარტო დარჩა, მაჯისცემა მკვეთრად მოემატა (90-106). გაფრენამდე ერთი წუთით ადრე მაჯისცემამ 120-ს მიაღწია. ეს, ცხადია, წინასასტარტო ღელვის გამო იყო გამოწვეული. მაგრამ ასეთ მაჯისცემას იგი ვარჯიშის დროსვე მიეჩვია. ხომალდი რომ ორბიტაზე გავიდა, როდესაც შეწყდა ძრავას ხმაური და ვიბრაცია, კოსმონავტმა იგრძნო, თითქოს იგი ფეხებით მაღლა მიფრინავდა, მაგრამ ამ შეგრძნებამაც გაიარა. როგორც ზემოთ ვთქვით, უწონობის დროს იგი საჭმელს ჭამდა და ეძინა. ჭამის მადა მაინც არ ჰქონდა, როგორც ჩანს, ეს უწონობის უჩვეულო მდგომარეობით იყო გამოწვეული.

10 საათზე, მოსკოვის დროით, კოსმონავტმა ჩართო ხელით სამართი აპარატები და თვითონ დაიწყო ხომალდის მართვა.



აკაკი ართილაყვა **პიესა 8 სურათად** ნახ. **ედ. ამბოკაძისა**

მონაწილენი:

გელა
გივი
ქეთევანი — გივის დედა
თეოფილე — სკოლის დარაჯი
ლია
მასწავლებელი ქალი. მოწაფეები.

სურათი პირველი

სკოლა. დილაა. გელა სკოლის დერეფანში დგას. ხელში შურდული უჭირავს. შემოდის ლია. გელა დაჭმუჭნულ ქაღალდს ჩადებს შურდულში და ლიას დაუმიზნებს.

ლია — რას შვრები?..

გელა — (სტყორცნის, მაგრამ ააცდენს) ჰა, აგცდა?

ლია — მაგ შურდულს არ გირჩევნია, გაკვეთილები ისწავლო?!

გელა — (ისევ მიუშვერს შურდულს) მუდამ აგცდება გგონია?!.

ლია — გაწიე იქით, თორემ, ხომ იცი... ვეტყვი მასწავლებელს და...

გელა — უჰ, შე მაბეზღარა, ერთხელაც ხომ დამაბეზღე!..

ლია — (გაიქცევა, გელა დაედევნება და კედელთან, სადაც კედლის გაზეთი ჰკიდია, წამოეწევა) ხელი გამიშვი, ხელი! (გელა უცებ კედლის გაზეთის ჩარჩოს მხარს გაჰკრავს, კედლის გაზეთი ძირს ჩამოვარდება და მინა გატყდება) აი, ნახე!

გელა — (შეცბუნდება) სულ შენი ბრალია!.. (შემოდის თეოფილე. ლია გარბის.)

თეოფილე — (გელას) ეს რა არის?.. (კედლის გაზეთს აიღებს) რა საქმე გქონდა ამასთან?!

გელა — (დაბნევით) მე... ძია თეოფილე...

თეოფილე — გაჩუმდი! სულ ერთია, თავს ვერ გაიმართლებ.

გელა — ძია თეოფილე, ნუ ეტყვი მასწავლებელს და...

თეოფილე — გაპატიებ, მაგრამ შენ ამით გათამამდები და მერე...

გელა — არა, ძია თეოფილე, პირობას ვდებ... ოღონდ არ უთხრა.

თეოფილე — კარგი, არ ვეტყვი, ოღონდ წესიერად იყავი. (გადის).

გელა — (სტვენას გაიგონებს. ფანჯარასთან მივა და დაბლა გადაიხედავს) გივი ხარ?

გივი — ჰა, რას შვრები?

გელა — დაიცა, ჯერ მასწავლებელი არ მოსულა.

გივი — როცა მივიდეს, აბა, შენ იცი.

გელა — მოვახერხებ რამეს... შენ ახლა წადი.

გივი — კარგი. მდინარის პირას გელოდები იცოდე. (შემოდის თეოფილე, თან კედლის გაზეთი შემოაქვს).

თეოფილე — აი, გამოვუცვალე მინა. აწი ნურაფრის გეშინია.

გელა — მეტს აღარ გავიმეორებ, ძია თეოფილე.

თეოფილე — ჰო, ჭკვიანად იყავი. (ჩამოკიდებს კედლის გაზეთს და გადის).

გელა — ახლა რა მოვიგონო. (ჩაფიქრდება) ჰო, ეს კარგი მოვიფიქრე. (ფანჯრიდან გადაიხედავს) აჰა,

ეროვნული ბიბლიოთეკა



მასწავლებელიც მოდის. (კარადასთან სკამს მიიტანს, ავა ზედ და კარადის თავზე ხელებს აფათურებს. შემოდის მასწავლებელი.)

მასწავლებელი — მანდ რას დაეძებ, გელა?!

გელა — რაღაც აქ...

მასწავლებელი — ძირს ჩამოდი.

გელა — ერთი წუთით, მასწავლებელო.

მასწავლებელი — ჩამოდი-მეთქი!

გელა — ჩამოვალ. (ჩამოსვლის დროს სკამს გადააყირავებს და იატაკზე დაეცემა.)

მასწავლებელი — (მიიჭრება მასთან) რა მოგივიდა, ბიჭო?!

გელა — ვაიმე... ფეხი, ფეხი! (ძლივს წამოდგება. ცალ ხელს კეფაზე იჭერს, შემოდის თეოფილე).

თეოფილე — (მასწავლებელს) რა მოუვიდა?

გელა — (კოჭლობით დადის) ვაიმე, რა ძალიან მტკივა?!

მასწავლებელი — მოიცა, ვნახო, სად გტკივა?

თეოფილე — გვაჩვენე, იქნებ ექიმია საჭირო და გამოვუძახებთ.

გელა — არ მინდა, არა! (შემოდის ლია).

ლია — რა დაგემართა, გელა?!

თეოფილე — (როგორც იქნება ფეხს გაუსინჯავს) არა უშავს, საშიში არაფერია.

გელა — ვაი, ვაი!

ლია — ასე ძალიან გტკივა? (ფეხზე ხელს მოჰკიდებს).

გელა — ჰო, მტკივა, მომეშვი! (სკამზე ჩამოჯდება).

მასწავლებელი — შინ მაინც წადი. ხომ ხედავ, რომ...

გელა — (წამოდგება და კოჭლობით დადის) უჰ, უჰ, როგორ მტკივა!

ლია — დაიცა, ჩანთას მოგიტან. (მიურბენინებს).

თეოფილე — წადი, შვილო, შინ. (ხელს მოჰკიდებს) წამოდი, კიბეზე ჩაგაცილებ.

გელა — (მიჰყვება) ვაი, ვაი!

ფარდა

სურათი მეორე

მინდორი. გივი მარტო დგას და გელას ელოდება. შემოდის გელა.

გივი — ხომ გამოგადგა ჩემი ნასწავლი ოინები, ეჭვი ხომ არავის აუღია?

გელა — რის ეჭვი, მასწავლებელს ისე შევებრალე, რომ...

გივი — მეც ხომ დავაჯერე გუშინ! დედა ავად მყავს-მეთქი, რომ ვუთხარი, ხელად გამათავისუფლა; ახლა წავიდეთ, კენჭები მოვაგროვოთ და მერე შურდულით ჩიტებზე ვინადიროთ.

გელა — (ჯიბიდან შურდულს ამოიღებს) უჰ, რა კარგი შურდული მაქვს!

გივი — არც მე მაქვს შენზე ნაკლები! (ისიც ამოიღებს ჯიბიდან შურდულს).

გელა — აბა, ვნახოთ, დღეს ვინ უკეთ ინადირებს, მე თუ შენ.

გივი — ვნახოთ!.. ჰო, კინაღამ დამავიწყდა, ამ დღეებში ჩვენი სკოლის მოსწავლეები მანდარინის საკრეფად მიდიან.

გელა — მანდარინის?!.

გივი — კოლმეურნეები თურმე ვერ აუდიან კრეფას და მოსწავლეებიც უნდა დავეხმაროთ. უჰ, როგორ მიხარია! წავალ და იქ ჩიტებიც ბევრი იქნება.

გელა — შენ კი წახვალ, მაგრამ მე?..

1924 წლის 25 ოქტომბერს ჟურნალმა «იუნი სტროიტელმა» მიიღო სერგეი მირონის ძე კიროვის წერილი. მიმართავდა რა პიონერებს, სერგეი მირონის ძე წერდა:

«მივესალმები ძვირფას პიონერებს, სრული იმედი მაქვს, რომ ისინი, როგორც ღირსეული ლენინელები მოვლენ უფროსების ცვლად და საბოლოოდ დაამთავრებენ ისტორიის უდიდეს საქმეს, რომლის გარიჟრაჟზეც ისინი დაიბადნენ».

1925 წლის 6 მარტს გამოვიდა გაზეთ «პიონერსკაია პრავდას» პირველი ნომერი, რომლის ფურცლებზე ამ 36 წლის მანძილზე პიონერთა მრავალი თაობა აღიზარდა.

1925 წლის 1 ივლისს ყირიმში გაიხსნა პიონერთა საკავშირო ბანაკი «არტეკი».

1926 წლის იანვარ-მარტში მთელი ჩვენი ქვეყნის პიონერებმა ჩაატარეს კამპანია უპატრონო ბავშვთა თავშესაფრების ასაშენებელი სახსრების შესაკრებად.

1926 წლის 23 მაისს, პიონერული ორგანიზაციისათვის ვ. ი. ლენინის სახელის მიკუთვნების ორი წლის თავზე, წითელ მოედანზე შედგა პიონერთა პარადი.

1926 წლის აგვისტოში მოსკოვში შედგა ნორჩ ავიამოდელისტთა პირველი საკავშირო შეკრება.

1926 წლის 12 აგვისტოს მოსკოვში შეიქმნა ბავშვთა ცენტრალური ტექნიკური სადგური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გივი — ნუ გეშინია, მოვახერხებთ რამეს, შენც წამოხვალ.

ფარდა

სურათი მესამე

მანდარინის ბაღი. შუადღეა. ბავშვებს თავი მოუყრიათ, მასწავლებელიც მათთან არის.

1-ლი ბავშვი — ნეტავი, გელა ისევ ცუდად არის?

მე-2 ბავშვი — ფეხი ხრტილში ჰქონია ნაღრძობი.

მასწავლებელი — დასხედით, ბავშვებო. (ბავშვები სხდებიან) გივი, დედაშენი თუ ისევ ავად არის, დარჩი შინ, ხვალ სკოლაში ნუღარ მოხვალ.

(შემოდის თეოფილე)

1-ლი ბავშვი —ხედავთ, გელა მოდის! (ყველა იქით მიიხედავს)

მე-2 ბავშვი — ფეხს ძლივს მოათრევს და მაინც წამოსულა.

თეოფილე — ცელქობამ ასე იცის. (შემოდის გელა კოჭლობით).

გელა — გამარჯობათ!

ხმები — გელას გაუმარჯოს! (შემორბის ლია).

ლია — გელა... როგორა ხარ?

გელა — არა მიშავს. ახლა. იმდენად აღარ მტკივა ფეხი.

ლია — რატომ მოხვედი, ფეხი რომ გაგიმიზეზდეს?!

გელა — გულმა აღარ მომითმინა, ცოტას მაინც დაგეხმარებით კრეფაში.

თეოფილე — კარგი ბიჭი ხარ, მაგრამ ცოტა ცელქობა გიყვარს.

გელა — არა, ძია თეოფილე.

თეოფილე — ცელქობის ბრალი არ არის, ფეხი რომ გტკივა?!



მასწავლებელი — გაუფრთხილდი, საშიშია, არ გაგიმიზეზდეს. (გადის).

1-ლი ბავშვი — გაიხედეთ, რამდენი შოშია დასხდა ხეზე.

გივი —ბიჭოს, რამდენია! (შურდულს ამოიღებს, მოიმარჯვებს, მაგრამ გელა დაასწრებს და თვითონ სტყორცნის).

ხმები —მოკვდა, ჩამოვარდა! (გელა გაიქცევა და მკვდარი ჩიტი შემოაქვს. ყველა გაკვირვებული უცქერის გელას. შემოდის მასწავლებელი).

გივი — (დაბნევით) ეს რა ჰქენი, როგორ დამასწარი, გელა?

ხმები — როგორ გაიქცა! (იცინიან).

თეოფილე — გელა, ეს შენა ხარ?! შენ ხომ ფეხი გტკიოდა?!

მასწავლებელი — ასე მალე მოგირჩა ფეხი? მოგვატყუე?!

თეოფილე — ეს კი აღარ ეპატიება გელას! (შემოდის ქეთევანი).

ქეთევანი — რა მოხდა?

ხმები — (სიცილით) ხედავთ, საქმე რაში ყოფილა!

მასწავლებელი — ქალბატონო ქეთევან, თქვენ ხომ ავად იყავით?

ქეთევანი — მე — ავად?! როდის?! ეგ ვინ თქვა?!

მასწავლებელი — (ბავშვებს) ხედავთ, ბავშვებო, ჩვენს სკოლას ორი მატყუარა ჰყოლია.

ხმები — აჰა, გავუგეთ ოინები! (ირგვლივ სიცილია. გივი და გელა თავჩაღუნულები დგანან).

ფარდა

1926 წლის დეკემბერში მოსკოვში გაიხსნა ნორჩ გამომგონებელთა პირველი გამოფენა.

1927 წლის 13 თებერვალს მთელი ჩვენი ქვეყანა აღნიშნავდა პიონერული ორგანიზაციის ხუთი წლისთავს. 52 პიონერისაგან შემდგარი რაზმიდან ხუთი წლის მანძილზე ორგანიზაცია ორ მილიონამდე გაიზარდა.

1927 წლის ივლისში, ლენინგრადელ ბავშვთა მოწოდებით, დაიწყო სახსრების შეკრება პიონერული თვითმფრინავის—«პიონერსკაია პრავდას» ასაგებად.

1927 წლის ნოემბერში მოსკოვში გაიხსნა საბჭოთა კავშირში პირველი საბავშვო კინოთეატრი.

1928 წლის 11 ივნისს, მძიმე ავადმყოფობის გამო საზღვარგარეთ ექვსი წლის ყოფნის შემდეგ საბჭოთა კავშირში დაბრუნდა მ. გორკი. იგი შეხვდა მოსკოველ პიონერებს. შეხვედრა მოეწყო კინოთეატრ «კოლიზეიში», ბავშვებმა დიდი მწერალი საპატიო პიონერად აირჩიეს და მას წითელი ყელსახვევი გაუკეთეს.

1930 წლის 1 ივნისს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებით ქალაქელმა მოსწავლეებმა დაიწყეს სოფლის სკოლებისათვის წიგნების შეგროვება. (27 ივნისისათვის შეგროვებული იყო 85.000 წიგნი).

1930 წლის ივნისში მოსკოვში ჩატარდა ნორჩ ტექნიკოსთა პირველი შეკრება.

1930 წლის სექტემბერში, ხალხის მტრების—კულაკების მიერ მოკლულ იქნა პავლიკ მოროზოვი—სოფელ გერასიმოვკის პიონერთა რაზმის საბჭოს თავმჯდომარე. მის სახელს ახლა ბევრი პიონერული რაზმი ატარებს.

1932 წლის 26 ოქტომბერს სოფელ კოლესნიკოვოში (კურგანსკის ოლქი) კულაკებმა მოჰკლეს პიონერი კოლია მიატიგინი, რომელმაც მარცვლეულის გამნიავებლები ამხილა.

ენერგია

სახალხო მეურნეობა საქართველოში სწრაფად ვითარდება და მოიცხოვს ენერგეტიკული ბაზის სათანადო ზრდას. თუ წინათ რესპუბლიკის ენერგეტიკის განვითარება მიმდინარეობდა სამუალო ხიმძლავრის ელექტროსადგურების შენებლობის გზით, ახლა ელექტროენერგიაზე მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის საჭიროა დიდი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურების აგება.

სწორედ ამიტომ აირჩიეს ქართველმა ენერგეტიკოსებმა მდინარე ენგური — საქართველოს ყველაზე მძლავრი მდინარე მიმდინარე შეიდწლიდის პირველი რიგის ენერგეტიკულ ობიექტად.

ენგურს, მტკვართან და რიონთან შედარებით, უფრო დიდი დაქანება აქვს და მისი წონასწორული, მისი პოტენციური სიმძლავრე რამდენჯერმე აღემატება საქართველოს სხვა დიდ მდინარეთა სიმძლავრეს, რაც იმას ნიშნავს, რომ მდინარე ენგურზე უფრო მძლავრი ჰიდროსადგურების აგებაა შესაძლებელი. ვიდრე, მაგალითად, რიონზე. სწორედ ამ გარემოებამ აიძულა ჰიდროსადგურების შენებლები დაეტოვებინათ მდინარე რიონი, სადაც დიდი ხანი არ არის, რაც დამთავრდა გუმათისა და ლაჯანურის ჰიდროელსადგურების აგება, და ათვისებული ხეობიდან გადასულიყვნენ ენგურის ხეობაში.

შეიდწლიანის მეორე ობიექტი

მდინარე ენგურზე შეიძლება აიგოს რამდენიმე მძლავრი ჰიდროელექტრონასადგური. ამჟამად დაწყებულია ქვედა ჰიდროელექტროსადგურის — ენგურჰესის შენებლობა, რომლის სათავე სოფელ ჯვართანაა, ხოლო ბოლო იქ, სადაც ერის-წყალი შაჯ ზღვას ერთვის.

ენგურჰესშენის სიმძლავრე 1.632 ათასი კილოვატია, რაც საქართველოში აგებული ყველა ჰიდროსადგურის საერთო სიმძლავრეს ორჯერ აღემატება. ეს ჰიდროსადგური გამოიმუშავებს 5 მილიარდ კილოვატსაათ ძალზე იაფ ელექტროენერგიას, რომელიც 500 კილოვოლტის ძაბვის გადამცემი ხაზების საშუალებით გადაეცემა საქართველოს და ჩრდილოეთ კავკასიის მომხმარებლებს.

ძალზე საინტერესოა ენგურჰესის ნაგებობათა სქემა. იგი შეიცავს ორ მაღალ კაშხალს, 18 კილომეტრი სიგრძის დიდი კვეთის გვირაბებს, ერთ მიწისქვეშა და ორ ღია საგენერატორო სადგურს და 24 კილომეტრის სიგრძის არხს, რომელიც გაყვანილი იქნება დაჭაობიანებულ ველზე და ენერგეტიკის სამსახურის გარდა საირიგაციო მიზნებსაც მოემსახურება — დაამრობს 20 ათას ჰექტარ ჭაობს, გადაავლევს მას ციტრუსების ბაღებად.

ენგურჰესის კაშხალი, რომელიც სოფელ ჯვარს ზემოთ მდინარე ენგურის ვიწრო ხეობაში უნდა აიგოს, სამასი მეტრის სიმაღლისა იქნება. წარმოიდგინეთ, რომ კაშხლის ფუძე თბილისის ფუნიკულიორის ქვედა სადგურზეა, ქიმი კი ზედაზე. ენგურის ხეობაში კი, კაშხლის ადგილას, ეს სიმაღლე თვალმეუწვდომელია, იკარგება ცის ლაჟვარდში, ვიწრო ზოლად რომ გადახურვია ხეობას. კაშხალი ბეტონისაგან შენდება და იგი ფორმით თაღოვანია. ეს იმას ნიშნავს, რომ მას გეგმაში თაღის მოხაზულობა აქვს და წყლის დაწნეევას ის არა საკუთარი სიმძიმით ეწინააღმდეგება და იკავებს, როგორც ეს ჩვეულებრივი კაშხლების შემთხვევაში ხდება, არამედ გადასცემს კედლოვან ნაპირებს, რომლებსაც ებჯინება თაღის ქუსლები. ამის გამო თაღოვანი კაშხალი საზოგადოდ გაცილებით ნაკლები მოცულობისაა, ვიდრე ჩვეულებრივი კაშხალი. ენგურჰესის თაღოვანი კაშხლის სიგანე ფუძეში იქნება მხოლოდ 40 მეტრი, ჩვეულებრივი კაშხლის სათანადო სიგანე კი 250 მეტრს მიაღწევდა. თაღოვანი კაშხლის მოცულობა იქნება 3 მილიონი კუბური მეტრი, ჩვეულებრივისა კი ორჯერ მეტი იქნებოდა თაღოვანთან შედარებით, რაც ამდენჯერვე მეტი თანხისა და დროის დახარჯვას გამოიწვევდა.

მაგრამ თაღოვანი კაშხლების აგება ყველაზე როდის შესაძლებელი. ასეთი კაშხლების შენებლობისათვის საჭიროა, — ხეობა ვიწრო იყოს, ნიადაგი კი — კლდოვანი. ეს პირობები სოფელ ჯვართან საესებით დაცულია.

ენგურჰესის კაშხალი დღესდღეობით ყველაზე მაღალია მსოფლიოში, საქართველოში და საბჭოთა კავშირში კი მეორე თაღოვანი კაშხალია ლაჯანურჰესის 70 მეტრის სიმაღლის

8454

თაღოვანი კაშხლის შემდეგ, რომელიც დაპროექტდა და აშენდა ჩვენს ქვეყანაში პირველად, ქართველი ჰიდროტექნიკოსების მიერ უმოკლეს დროში.

მაგრამ თუ გავიხსენეთ, რომ ლაჯანურის კაშხლის მოცულობა მხოლოდ 26 ათას კუბურ მეტრს უდრის, მაშინ ერთხელ კიდევ ნათლად წარმოვიდგენთ ენგურჰესის კაშხლის სიდიდეს, რომელიც მოცულობით 120 ლაჯანურის კაშხალს უდრის. ეს კაშხალი შეკმნის დიდ წყალსაცავს, რომლის მოცულობა მიაღწევს 1,6 მილიარდ კუბურ მეტრს, რაც იმას ნიშნავს, რომ წყალსაცავი დიატეგს მდინარე ენგურის წლიურ ნაკადს და შესაძლებლობას მოგვცემს, ვხარჯოთ წყალი ისე, როგორც ეს საქართველოს ელექტროსადგურების კვანძს დასჭირდება, ანუ, როგორც ენერგეტიკოსები იტყვიან, წყალსაცავი მდინარის ნაკადის რეგულირებას შეასრულებს. ეს მეორე დადებითი მხარეა მდინარე ენგურისა მაშინ, როცა საქართველოს მდინარეების უმეტესობა ამის შესაძლებლობას ვერ იძლევა.

ამ კაშხლის აგებასთან დაკავშირებით საჭირო გახდება ენგურის ხეობაში დამზადებული ხე-ტყის ჩამოცურების საქმის შეცვლა. თუ ამჟამად დაცურებული ხე-ტყის დაჭერა და წყლიდან ამოღება ხდება სოფელ ჯვართან. კაშხლის აშენების შემდეგ, ხე-ტყის წყლიდან ამოღება იწარმოებს წყალსაცავამდე და შემდეგ ავტომანქანებით გადაიზიდება.

წყალსაცავიდან ენგურის წყალი 16 კილომეტრის სიგრძის სადერიგაციო გვირაბით წარიმართება საგენერატორო სადგურისკენ. ამ გვირაბის შენებლობა იწარმოებს ექვსი სანგრევიდან ერთდროულად. გვირაბი მოპირკეთებული იქნება რკინა-ბეტონით. გვირაბის ბოლოს აშენდება მიწისქვეშა საგენერატორო სადგური, სადაც 47 მეტრი სიმაღლის ხელოვნურ გამოქვაბულში მოთავსდება ექვსი ტურბინი და გენერატორი, რომელთა საერთო სიმძლავრე 1.400 ათასი კილოვატია, თითოეული აგრეგატის სიმძლავრე კი იქნება მეტი, ვიდრე, ბრატსკის ჰესის აგრეგატის სიმძლავრე. ასეთი აგრეგატები ჯერ საბჭოთა კავშირში არ გებულა და მათი შექმნისათვის ქვეყნის მანქანათმშენებლებს და მეცნიერებს დასჭირდებათ დიდი შემოქმედებითი შრომის გაწევა.

მიწისქვეშა სადგურში დადგმულ ტურბინებში დამუშავებული ენერგიის წყალი გამყვანი გვირაბით წარიმართება მდინარე ერის-წყალის კალაპატში, რომელიც ამ ადგილას უფრო დაბალ ნიშნულზეა, ვიდრე ენგურის კალაპტი. ამ გვირაბის გამოსასვლელადან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით, ერის-წყალზე აიგება მეორე კაშხალი. მისი სიმაღლე 50 მეტრი იქნება, მასალა კი — ადგილობრივი ხრეში. კაშხალი შექმნის საბუფერო 124 მილიონი კუბური მეტრი მოცულობის წყალსაცავს, რომელშიც დაგროვდება ენგურისა და ერის-წყალის ჩამონადენი.

ამ კაშხლის გვერდით აიგება მეორე 200 ათასი კილოვატის სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური [illegible] ენგურის [illegible] ქვევით — მზიურჰესი, 32 ათასი კილოვატის სიმძლავრისა.

გალაპეის ტბრბინებში დამუშავებული წყალი წარიმართება მდინარე ერის-წყლის კალაპოტში შავი ზღვისაკენ, რომელიც ჰიდროსადგურიდან ათეული კილომეტრით არის დაშორებული.

ამ ბანძილზე ერის-წყალის კალაპოტი ძალზე დაკლაკნილია და მრავალმტოიანი, მისი ნაპირები დაჭაობიანებულია და დაფარულია ტყითა და ძოძენარით. იმისათვის, რომ ერის-წყალმა შეძლოს ენგურის წყლის გაგარება, საჭიროა ამ მდინარის კალაპატის გასწორება, გაფართოება და გაღრმავება, რაც დაკავშირებულია 8 მილიონი კუბური მეტრი მიწის დამუშავებასთან, ჭაობების დასაშრობი სამუშაოების ჩატარებასთან 20 ათასი ჰექტარი ფართის მიწის მასივზე, ტყის გაკაფვასთან და სხვა სამუშაოებთან.

ენგურჰესის შენებლობის განხორციელებისათვის საჭიროა შესრულდეს 20 მილიონი კუბური მეტრი მიწისა და კლღის სამუშაო, ჩაწყობილი იქნეს ნაგებობებში 3,5 მილიონი კუბური მეტრი ბეტონი, დამონტაჟდეს 15 ათასი ტონა ლითონის

ენგურჰესის კაშხლის პროექტი.

კონსტრუქცია, გაყვანილ იქნეს 200 კმ. ზოსე გზა, 25 კმ. რკინიგზა, 100 კმ. გადამცემი ხაზი, გაშენდეს 52 ათასი კმ. ფართის საცხოვრებელი ბინა და სხვ.

ეს გრანდიოზული სამუშაოა და მისი შესრულება შეუძლებელია, თუ არ იქნა გამოყენებული უახლესი ტექნიკა, ყველაფერი ახალი, რაც კი შექმნილია დღეისათვის მთელ მსოფლიოში ჰიდროტექნიკის დარგში.

ვეგმართ გათვალისწინებულია გამოყენებული იქნეს მაღალი, თაღოვანი კაშხლის აგებისათვის 20 ტონის ტვირთამზიდველობის კაბელკრანები, რომლებიც ბეტონს მიაწვდიან 300-მეტრიან კაშხლის ნებისმიერ წერტილში, ოთხძალიანი საბაგირო გზები, სიგრძით 7 კილომეტრამდე, სამშენებლო მასალების კაშხალზე მისაწოდებლად, მაღალი წარმადობის ბეტონის ქარხნები და სხვა მექანიზმები.

ვგრარების და სხვა მიწისქვეშა სამუშაოებისათვის გამოყენებული უნდა იქნეს ვგრარების დამმუშავებელი სპეციალური ექსკავატორები და ოფოიმცლელი ავტომანქანები, კომბაინები და სხვა მაღალი წარმადობის მექანიზმები. არხის დამუშავებაზე და კარიერებში იმუშავებს 10 ცალი დიდი მოცულობის ქაფრიანი, ბიეფიანი ექსკავატორი და სხვა მრავალი ახალი ტიპის მექანიზმი. მშენებლობა რიცა სრული ტემპით იწარმოებს, მაშინ მუშათა რიცხვი 7 ათას კაცს მიაღწევს, მოსახლეობა კი — 20 ათას კაცს.

ენგურჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია მოხმარდება საქართველოსა და რჩდიღოეთ კავკასიის მრეწველობასა და საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებებს.

ქიმიის, ელექტროტექნიკური, მანქანამშენებელი, მსუბუქი და სხვა სახის მრეწველობის ახალი ობიექტები უცდიან ენგურჰესის ენერგიას. ამ სადგურის ენერგიაზეა დამოკიდებული არა თუ მხოლ მრეწველობის შემდგომი ზრდა, არამედ სოფლის მეურნეობის განვითარება და ყოფაცხოვრების გაუჯობესებაც.

ამ ობიექტის მშენებლობა დაკისრებული აქვს ტრესტ „საქმიდროენერგომშენის“ კოლეკტივს, რომელსაც საქართველოში ელექტროსადგურების მშენებლობის დიდი გამოცდილება აქვს.

მშენებლობა დაიწყო 1961 წელს და უნდა დამთავრდეს 5-6 წლის განმავლობაში.

ვალერიან მუხიკი.
სსსრ დამსახურებული ინჟინერი.

წელს, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ ულამაზეს მთებში, — კარპატებში ჩატარდა ნორჩ ტურისტთა და მხარეთმცოდნეთა პირველი საკავშირო შეკრება. იგი მიეძღვნა დიდი ლენინის დაბადების 91 წლისთავს.

საქართველოდან ამ შეკრებაში მონაწილეობის უფლება აქვთ, აფხაზეთის და ოსეთის ქალაქებთან ერთად მოიპოვეს ბორის ძნელაძის სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტის ალპინისტური ჯგუფის წევრებმა.

4 აგვისტოს თბილისელი პიონერები სპორტის ოსტატის მარინე უომელაძის ხელმძღვანელობით ხარკოვს გაემგზავრნენ. ქალაქის ღირსშესანიშნაობათა დათვალიერების შემდეგ საქართველოს წარგზავნილებმა უკრაინის დედაქალაქ კიევისაკენ აიღეს გეზი. დიდი სამამულო ომის წლებში ეს უდიდესი ქალაქი ნაცარქვევებად იყო ქცეული, მაგრამ შრომისმოყვარე უკრაინელებმა იგი კიდევ უფრო დიდი, კიდე უფრო ლამაზი და მიმზიდველი გახადეს. ქართველ პიონერებს განსაკუთრებით მოეწონათ კრეშჩატიკის ქუჩა,რომელიც მოლიანად მწვანეშია ჩაფლული.

კიევიდან ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილები ქალაქ სტანისლავში გაემგზავრნენ. გულთბილი იყო უკრაინელ და ქართველ პიონერთა შეხვედრა, რომელიც ქალაქის ოფიცერთა სახლში გაიმართა. მეგობრობის კონცერტზე უკრაინელმა მასპინძლებმა თავიანთი თვითშემოქმედება აჩვენეს სტუმრებს. შემდეგ მასპინძლები სტუმრებმა შესცვალეს და ალტაცებაში მოიყვანეს თავიანთი სტანისლაველი მეგობრები. როცა ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებმა ნინო ჭავჭავაძეს და სერგო ხულაკაურს ლაღად გაუმღერეს ჭალაკები და ცეკვა „ქართული“ შეხარულს, დარბაზში ჩქუხარე ტაში გაისმა.

კონცერტის დასასრულს სტანისლაველმა პიონერებმა საქართველოს წარგზავნილებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს.

ქალაქ სტანისლავიდან შეკრების ადგილამდე სამასი კილომეტრია. ეს მანძილი პიონერებმა ავტობუსით გაიარეს. ხანგრძლივი, მაგრამ მხიარული მგზავრობის შემდეგ, ცალ აზიდულ მარადმწვანე ნაძვებით შემოსილატულ ვეებერთელა მინდორზე ახობით კარავი შენიშნეს პიონერებმა. კარვების გამოჩენა თითქოს ზღაპი იყო, — საქართველოს წარგზავნილებმა მხიარული „მგზავრული“ წამოიწყეს და ახე სიმღერით შევიდნენ ბანაკის ტერიტორიაზე.

მეორე დღეს ბანაკის ხაზინიმი გახსნაზე შეკრების მონაწილე 1.800 პიონერი ხაზზე იდგა. გაისმა პიონერული საყვირის ხმა და ანმაზე ნელ-ნელა ასრიალდა ბანაკის ალამი. საერთო მხიარულებაში მონაწილეობის მისაღებად ბანაკი სტუმრებად მიიწვიეს ხაბეთთა არმიის მებრძოლები, წარმოების მოწინავე ადამიანები, ჭველი რევოლუციონერები, სახელგანგაქმული ეოფილი პარტიზანი, ხაბეთთა კავშირის ორგზის გმირი კოვპაკი. მან ნორჩ პიონერებს ამ პარტიზანული შენაკეთის საბრძოლო საქმეებზე უამბო, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა სამამეოლო ომის წლებში.

ნორჩმა ტურისტებმა ბანაკთო სტუმარს მოწიწებით მიართვეს პატარა ზურგჩანთა და თან დაატოლეს — „ცეცილი გულით მიძღვნილი მცირედიც შეიწირენისო“. კოვპაკმა დიდი სიხარულით მიიღო პატარების ეს საჩუქარი და გულითადი მადლობა გადაუხადა მათ.

საზეიმო ხაზის დამთავრების შემდეგ ხერთო მხიარულება გამეფდა. ხმოვანსხვა ეროვნების ახალდადმეგობრებუფთ პიონერები ერთმანეთს სამკერდე ნიშნებს უცვლიან. იქით, ესტონადაზე ერთმანეთს ცვლიან ნორჩი შემსრულებლები და დეკლამატორები, ყველგან სიხარულია დასადგურებული.

ყოველ ახალ დღეს ახალ-ახალი შთაბეჭდილებები მოაქვს, ეწყობა საჩეენებელი გამოსვლები ტურისტებში, შეჯიბრებები წინაალმდეგობათა გადალახვაში, კონკურსი სიმღერებსა და ცეკვებში, საქართველოს წარგზავნილებმა ორი ოქროს მედალი დაიმსახურეს საუკეთესო ცეკვისათვის. ხოლო სიმღერებში ვერცხლის მედალს დაჯერდნენ. ტურისტული კვანძების გამოკვრაში ყველას ვაჯა ჭარჩავამ აჯობა და ოქროს მედალიც მას ერგო.

არასოდეს არ დავიწყებთ ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებს მეგობრობის ის კოცონი, რომელის მოწყობა ბანაკის შტაბმა ექვსი მოკავშირე რესპუბლიკის, მათ შორის საქართველოს წარგზავნილებსაც მიანდო. შტაბის გადაწყვეტილების თანახმად ამ ექვსი რესპუბლიკის პიონერებს ბანაკის პირდაპირ მდებარე გო-

შეკრების მონაწილე თბილისელი პიონერთა ერთი ჯგუფი.

ქართველ პიონერთა მოხდენილმა ცეკვამ ალტაცებაში მოიყვანა მაყურებელი.

ლაღად ცეკვავენ ჩვენი უკრაინელი მეგობრები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაკზე ექვსი კოცონი უნდა აენთოთ და დანარჩენი რესპუბლიკების წარგზავნილთათვის მასპინძლობა გაეწიათ. „სტუმრებს შორის იყვნენ რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის, თურქმენეთისა და უზბეკეთის დელეგაციები. „სტუმრები" აღტაცებაში მოიყვანა ქართულმა სტუმარმასპინძლობამ. ექვსი უზარმაზარი კოცონის ალის შუქზე დიდი კონცერტი გაიმართა. მისი დამთავრების შემდეგ ნორჩმა ტურისტებმა სამახსოვრო საჩუქრები და ვიმპელები გაუცვალეს ერთმანეთს.

თენგიზ მალანია,
შეკრების მონაწილე.

— . —

დიდხანს მემახსოვრება კარპატებში გატარებული დღეები და კიდევ უფრო დიდხანს ბანაკის უკანასკნელი საღამო. ამ დღეს ბანაკის ტერიტორიაზე უჩვეულო ფუსფუსი და ჟრიამული იდგა. ყველა ჩვენთაგანს ერთი და იგივე გრძნობა დაგვეუფლა, ყველას გვიხაროდა ამდენი ახალი მეგობრის შეძენა, და გვწყინდა, რომ ბანაკს ვტოვებდით, გვიმძიმდა ერთმანეთის დაშორება. ჯგუფ-ჯგუფად შეგროვილები ერთმანეთს მისამართებს ვუცვლიდით, ვეპატიუებოდით სტუმრად ჩამოსვლას.

საღამოს ცხრა საათი იქნებოდა, შეკრების მონაწილე ყველა ნორჩი ტურისტი პიონერულ ხაზზე ჩავმწკრივდით. უცებ ჩვენს თვალწინ აბრიალდა ვეებერთელა კოცონი, რომლის ალმა სიბნელე გახია და გაანათა გარემო. ასეთი დიდი კოცონი ბანაკში არ დანთებულა. ჩვენი ვრცელი დედასამშობლოს 15 რესპუბლიკის თითო წარმომადგენელი, თავის ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი, ჩირაღდანით ხელში უვლიდა მეგობრობის კოცონს. ათასრვაასმა ნორჩმა ტურისტმა ხმაშეწყობილად შემოვძახეთ სიმღერა „გლობუსი". ახმაურდა მინდორი, გახალისდა ტყე და ამ საერთო მხიარულების დროს ბანაკს თავზე გადაუარეს ცად ატყორცნილმა სხვადასხვაფერის შუშხუნებმა.

გვიან ღამით კი ავტობუსებში ჩავსხედით და ბანაკიდან გამოვემგზავრეთ.

ნანა ჯულელი,
შეკრების მონაწილე.

ტყეში

ზაქარია შერაზადიშვილი

ჩვენს დიდებულ ტყეებს
ვინ არ იცნობს, ვინა,
შველს, ჯიხვსა და ირემს
იქ დაუდევს ბინა.

იქა სძინავს ღამით
კურდღელსა და მელას,
ციყვი, მაჩვი, კვერნა
იქ არიან ყველა.

სათვალავი არ აქვს
ნაირ-ნაირ ჩიტებს,
იმოდენა ტყე გვაქვს,
რომ ყველაფარს იტევს.

იქ გაისმის მუდამ
ჭიკჭიკი და სტვენა,
ტყესაცა აქვს თავის
ტკბილი «დედაენა».

იწერება მაშინ,
იკითხება მაშინ,
როცა გვესმის «გუგუ»,
როცა გალობს შაშვი.

ჩიტუნები როცა
ლამაზ ფრთებსა შლიან,
როს ფოთლები ერთხმად
დაიწყებენ შრიალს.

როცა ტყეში ერთად
მღერის ყველა წყარო,
ყველაფერი სუნთქავს,
ყველაფერი ხარობს.

რუსი ხალხის სიამაყე

„ის იყო ჩვენი პირველი უნივერსიტეტი“, — ასე დაახასიათა მსოფლიო პოეზიის კორიფეიმ პუშკინმა გენიალური რუსი მეცნიერი, პოეტი, დიდი მოაზროვნე და განმანათლებელი მიხეილ ვასილის ძე ლომონოსოვი, რომლის დაბადებიდან 250 წლისთავს საბჭოთა ხალხთან ერთად ზეიმით აღნიშნავს მთელი მოწინავე კაცობრიობა.

ლომონოსოვი დაიბადა 1711 წლის 19 ნოემბერს სოფ. მიშანინსკში (არხანგელსკის გუბერნია), ზღვისპირელი გლეხის ოჯახში. ათი წლის მიხეილი უკვე მხარში ედგა მამას და მასთან ერთად დადიოდა თევზის სარეწად თეთრ ზღვასა და ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანეში. ეს მოგზაურობები დიდ გავლენას ახდენდნენ ცნობისმოყვარე ბავშვზე — უღვიძებდნენ ინტერესს მეცნიერების სხვადასხვა საკითხებისადმი. ზღვათა სტიქიასთან ჭიდილმა, მეთევზეთა განსაცდელით აღსავსე ცხოვრებამ გამოაწრთო მომავალი მეცნიერისა და პოეტის ხასიათი, გამოუმუშავა შეურყეველი ნებისყოფა და სიმამაცე.

ლომონოსოვმა ადრე ისწავლა წერა-კითხვა და გატაცებით შეიყვარა წიგნი. კითხულობდა ყველაფერს, რასაც კი იშოვიდა თავის სოფელში, მაგრამ ცოდნის მაძიებელი ყმაწვილისათვის ეს იყო იგივე, რაც წვეთი წყალი მწყურვალისათვის. და აი, დეკემბრის ერთ სუსხიან ღამით, 19 წლის ჭაბუკი, ნასესხები სამი მანეთის ამარა, ფეხით ადგება შორეულ, დიდ ქალაქისაკენ მიმავალ გზას. დიდი ვაი-ვაგლახის შემდეგ ჩადის მოსკოვში. 1731 წლის იანვარში ლომონოსოვი მოსკოვის სლავურ-ბერძნულ-ლათინურ აკადემიაში მოწყობას ახერხებს.

აუტანელ გაჭირვებაში გაატარა ლომონოსოვმა აკადემიაში სწავლის მთელი ხუთი წელი. დღეში ეძლეოდა სამი კაპიკი, რომელიც მხოლოდ პურისა და ბურახისათვის ჰყოფნიდა. მაგრამ ახალგაზრდა მეცნიერე მაინც მამაცურად უმკლავდება ყოველგვარ სიდუხჭირეს, შეუპოვრად მიემართება მეცნიერების მწვერვალებისაკენ, განსაკუთრებული ნიჭითა და შრომისმოყვარეობით აღფრთოვანებაში მოჰყავს მასწავლებლები; კითხულობს დღედაღამ, ეძებს პასუხს მისთვის საინტერესო საკითხებზე.

1736 წელს ლომონოსოვი, როგორც აკადემიის ერთ-ერთი საუკეთესო სტუდენტი, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიაში გადაიყვანეს, ხოლო იმავე წლის შემოდგომაზე გერმანიაში გაგზავნეს. სამი წელი მარბურგის უნივერსიტეტში დაყო, სადაც ფიზიკასა და ჰუმანიტარულ საგნებს სწავლობდა. შემდეგ ფრეიბერგში გადავიდა ქიმიისა და სამთო საქმის შესასწავლად.

1741 წელს ლომონოსოვი რუსეთში დაბრუნდა. 1745 წელს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის პროფესორად (აკადემიკოსად) იქნა დანიშნული, ამით იგი გახდა პირველი რუსი მეცნიერი, რომელსაც აკადემიკოსობა მიენიჭა. აკადემიაში მუშაობის დაწყებისთანავე ლომონოსოვმა შეურიგებელი ბრძოლა გააჩაღა რუსული მეცნიერებისა და კულტურის დამოუკიდებელი განვითარებისათვის. ლომონოსოვმა რუსეთში პირველმა დაიწყო საჯარო ლექციების კითხვა რუსულ ენაზე (მეცნიერებათა აკადემიაში).

საოცრად მრავალმხრივია ლომონოსოვის შემოქმედება. გენიალურმა მეცნიერმა თავის შრომებში გააშუქა საკითხები, რომლებიც ეხებოდნენ მისი თანამედროვე ბუნებისმეტყველების, სამთო საქმის, მეტალურგიის, ფილოლოგიის, ისტორიისა და პოეზიის თითქმის ყველა დარგს.

1757 წელს ლომონოსოვმა ქიმიის კათედრა სხვას გადასცა და ლაბორატორია საკუთარ სახლში მოაწყო. აქ იგი განაგრძობდა გამოკვლევებს ქიმიაში, აწარმოებდა მადნების ანალიზს, მუშაობდა „ფაიფურის შემადგენლობის გამოკვლევაზე“, ატარებდა ცდებს სხვადასხვა სახის მინის ნაწარმის შესაქმნელად. მანვე დაამზადა ქიმიური კვლევისათვის საჭირო ხელსაწყოები, ოპტიკური ინსტრუმენტები. ჩაატარა მეტად მნიშვნელოვანი გამოკვლევები ზღვაოსნობის საქმეში, გეოგრაფიაში, მეტალურგიაში, ასტრონომიაში, მხარეთმცოდნეობაში და სხვ. ლომონოსოვმა აღადგინა რუსეთში დიდი ხნის მივიწყებული მოზაიკური ხელოვნება. მისი მოზაიკური ნამუშევრები ყოველმხრივ ჩრდილავს იმ დროის დასავლეთევროპულ მოზაიკას.

ლომონოსოვის ღრმა პატრიოტიზმი განსაკუთრებული სიცხადით გამოვლინდა მის იმ შრომებში, რომლებიც რუსი ხალხის ისტორიას მიუძღვნა. ლომონოსოვი დაუნდობელ ბრძოლას უცხადებდა ე. წ. გერმანული სკოლის წარმომადგენელ ისტორიკოსებს, რომლებიც ამცირებდნენ რუსი ხალხის უდიდეს როლს მსოფლიო ისტორიაში.

დიდი წვლილი შეიტანა ლომონოსოვმა რუსული პოეზიის განვითარებაში. მან ჩაუყარა საძირკველი თანამედროვე რუსულ სალიტერატურო ენას, მანვე დაამთავრა რუსული ლექსთწყობის რეფორმა. ლომონოსოვმა პოეზიაში შეიტანა ხალხისადმი სამსახურის მაღალი იდეები. თავის ლექსებსა და სადღესასწაულო ოდებში ეხებოდა ისეთ თემებს, რომლებსაც დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდათ.

ლომონოსოვი რუსული ენის უშესანიშნავესი მცოდნე და განმაახლებელი იყო. მისი მეცნიერული შრომა „რუსული გრამატიკა“ ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ სასწავლო სახელმძღვანელოდ იქცა მთელს რუსეთში.

ლომონოსოვის დაჟინებითი მოთხოვნით, 1755 წელს ქ. მოსკოვში გაიხსნა პირველი რუსული უნივერსიტეტი, რომელიც ახლა მის სახელს ატარებს.

ლომონოსოვი იყო ყოველი სამეცნიერო, ტექნიკური და კულტურული წამოწყების ინიციატორი და ხელმძღვანელი. მაგრამ ბატონყმური რუსეთის პირობებში ბევრი მისი განზრახვა განუხორციელებელი რჩებოდა.

მ. ვ. ლომონოსოვი გარდაიცვალა 54 წლის ასაკში, 1765 წლის 15 აპრილს.

ლომონოსოვის ცხოვრება და მოღვაწეობა მხურვალე პატრიოტიზმის, მშობელი ხალხის საკეთილდღეოდ თავდადებული ბრძოლისა და შრომის ბრწყინვალე მაგალითია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუბელ პოეტები

* * *

კუბელი ხალხის ბრძოლამ სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის განაცვიფრა მთელი მსოფლიო. ეს ბრძოლა 1959 წლის დასაწყისში მშრომელთა გამარჯვებით დაგვირგვინდა. თავისუფლებისმოყვარე კუბელმა ხალხმა თავისი მიწა-წყლიდან განდევნა უცხოელი კოლონიზატორები და კუბაზე გამარჯვების დროშა ააფრიალა.

კუბის პოეზია დღემდე ქართულად თითქმის არ იყო თარგმნილი. შესანიშნავ კუბელ პოეტებს არ იცნობდა ქართველი მკითხველი. ჟურნალის ამ ნომერში მკითხველს ვთავაზობთ რამდენიმე ნიმუშს კუბის პოეზიიდან. ქვემოთ მოთავსებული ლექსების უმრავლესობა განეკუთვნება მეცხრამეტე საუკუნეს და გამოხატავს კუბელი ხალხის შეუპოვარ ბრძოლას სამშობლოს თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის. ლექსები თარგმნილია რ ე ვ ა ზ მ ა რ გ ი ა ნ ი ს მიერ.

* * *

ხოსე აგუსტინ კინტერო

(1829—1885)

ეჰ, მეთევზე

— ეჰ, მეთევზე, ელოდები...
გაგიმართლოს თევზის ჭერამ!
და იცი რომ ბატონები
მზად არიან შესაჭმელად?
— შენ, მჭედელო, ჩუმი ოხვრით,
რატომ მიმზერ ასე მკაცრად?
— რასა ვჭედავ?
ხუნდს და ბორკილს!
— შენი ძმების გასაბაწრად?

— გუთნისდედავ, რატომ წვალობ,
ოფლს რად აღვრი
დამსკდარ მინდვრებს?
— მინდა ჩემდა სამოწყალოდ
რომ ლერწამი აბიბინდეს!
— ამაოა შენი შრომა,
ნაყოფია მწარე შენთვის!
როცა მოვა შემოდგომა,
მას წაიღებს ესპანეთი!

შიმშილი და სევდა მწველი
მუდამ არის ხვედრი შენი!

— ეჰ, ტყის მჭრელო, ნაჯახს ხელში
რატომ იღებ ასე სწრაფად?

— სამუშაოდ მივალ ტყეში
მუხის ტევრის გასაკაფად!
— სიცოცხლისთვის, შესდექ, მორჩი!
სამშობლოსთვის გონზე მოდი!
მუხისაგან, შენ რომ მოჭრი,
გაითლება ეშაფოტი!

— აკვანს არწევ სევდიანად,
ვის უმღერი გულდამწვარი?
— ჩემს ვაჟს ვუმღერ იავნანას,
ჰქონდეს კარგი მომავალი!
— რისთვის შრომობ დღე და ღამე,
რად გახარებს შვილის ყოლა?
იცი განა, რომ მტარვალებს
დედა ახალს უზრდი მონას?

ხოსე ფორნარისი

(1827—1890)

განთიადი კუბაზე

დიდებული სურათია,
თვით ბუნებამ გახსნა თვალი.
დასციმციმებს ფოთლებს ცვრიანს
მთვარის სხივი მკრთალზე-მკრთალი.

თუთიყუშმა ხეზე ფხიზლად
შეისწორა ფრთები ნაზად
და მარაო ზურმუხტისა
გადაშალა ფიანდაზად.

ჯადოსნურად,
მუქად ელავს
თუთიყუშის ფრთების აფრა,
ელავს შავი ქარვისფერად
და აქატის ფერიც დაჰკრავს.

ყავის ხეებს,
მიჯნას,
ბილიკს,
ზანგი თვალებდანამული,
დაღლილი და ფერმიხდილი
ჩამოუვლის სალამურით.

და სოფლური მოძახილის
ხმა გასცდება კიდით-კიდეს,
მოღუღუნე ჰანგი ტკბილი
აუჩქროლებს გულებს გვრიტებს.

ქოფაკები ყეფენ ბანით
ბოროტები, ავგულები —
საშინელი ქმნილებანი,
შავი ჯაჭვით დაბმულები.

ჭრიჭინა კი მიჭრიჭინებს
და არაფრის არ აქვს დარდი.
ხეზე ჩიტებს ფერმიხდილებს
ენატრებათ განთიადი.

შეშინებულ ბატკანს ღვიძავს,
სიბნელეში მოჩანს თეთრად,
მამალს ყელი ჩაეხრინწა,
განთიადი გვამცნო ქვეყნად!

დედამიწა მივატოვე,
მივაპყარი ზეცას თვალი,
შორს, ჭაღარა ღრუბლის მორევს
ზედ ადნება შუქი მთვარის.

ამ ცას მინდა ვესაუბრო,
მოლივლივე ლალის თვალებს,
იტალიის ცაზე უფრო
ნაზია და გამჭვირვალე!

დაე, თუგინდ მოიქუფროს,
ინგლისის ცას დაემგვანოს,
მაინც მას მსურს ვესაუბრო
ძვირფასსა და სათაყვანოს.

ყრმობის ზეცა!
ძმობის ზეცა!
ლურჯი, ნაზი, ფერმიმკრთალი.
შეჰყურებდა მას ოდესღაც
ცრემლიანი დედის თვალი.

აქ, პირველად ვიგრძენ დარდი,
სიყვარულის გამკრა ელდამ,
ჩემს მეგობარს აქ ვუწნავდი
შროშნის გვირგვინს საამებლად.

ცის ტატნობის დასავალთან
წამწამები მწვანე პალმის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირხეოდა, გამინათა
ჩემი ყრმობა მომხიბლავი!

ლერწმებს შორის დავვაჟკაცდი
ჩემი ზეცის სილურჯეში.
ცხელი სისხლი მიდუღს მკლავში,
ცხელი სისხლი მიდუღს მკერდში.

მთელი გულით მას ვაღმერთებ,
მას შევწირავ სიცოცხლესაც.
ოღონდ მუდამ ანათებდეს
ჩემი ქვეყნის ლურჯი ზეცა.

ხოსე მარტი
(1853—1895)

ჩემი ტაძარი

მაცდურ ქალაქს ვეღარ ვიტან,
სიმჭიდროვეს,
ხმაურს,
გნიასს.
მიყვარს მთა და მაღალ მთიდან
მსურს ვუსმინო დაფნის შრიალს.

ჩემი მიწის ღარიბებთან
ახლოს მინდა ვიყო ბედით,
მიყვარს, მხიბლავს ზღვაზე მეტად
ნაკადულის ერთი წვეთი!

არ მსურს ოქრო,
არ მჭირდება,
საბანაოდ ჰქონდეთ მდიდრებს,
მზემ იბრწყინოს, იბობოქროს,
ტყე სიგრილეს გამიშლიდეს.

დე, იდინოს ოქრომ ღვარად,
დე, დნებოდეს ალზე ბრძმედის,
მე კი მინდა ნიავქარად
ჭალის თავზე ქროდეს მტრედი.

ტაძრის საკურთხევლისათვის
მღვდელთმთავარი ესპანეთის
სვეტის საძებნელად დადის,
სურს იპოვოს ოქროს სვეტი.

ჩემს ტაძარში მე არ ვღელავ,
მაღლა ზეცას ვაპყრობ თვალებს,
წინ რომ მიდგას საკურთხევლად,
ალვებია მოშრიალე!

შიგ ტაძარში კოინდარის
ნოხებია წმინდათ-წმინდა
და მეფრქვევა ოქროს ღვარი
მისი ცისფერ გუმბათიდან.

მღვდელიც არის ჩემს ტაძარში,
ხელაპყრობით უხმოდ დადის
და ლოცულობს მხოლოდ მაშინ,
როცა დგება განთიადი.

ნაძვის გირჩი ეტლი არი —
ორი ჩიტი მოაქროლებს.
ბუქნას უვლის მთებში ქარი,
აშრიალებს არყის რტოებს.

მაღალ კლდეზე ოცნებებმა
გამიტაცეს...
ტკბილად მძინავს,
ვგრძნობ ჩემს ტუჩებს რომ ეხება
ფუტკრის ფრთები პაწაწინა.

დღეს ვარდისფერ შუქში ვხედავ
ფოთლებია ცეცხლისფერი,
თითქოს გულში აღმოცენდა
ეს სამყარო მშვენიერი.

მაღალ მთიდან გადმომძახებს
მწყემსის ბუკი ადრიანად,
ჰორიზონტზე ნისლებს გახევს,
მზე იელვებს თვალბრიალა.

დე, მოვიდეს წამით მკაცრი
მღვდელთმთავარი ჩემთან თავად,
ჩემი მზიან, დიად ტაძრის
საკურთხევლის სანახავად.



ანტონიო ურტადო ვალიე
(1841—1875)

ლას ვილიასის ჰიმნი

ამ სანუკვარ მხარეში და მზის სიმხურვალეში
ლერწამს ცა გაუპია, ცაში აუხედია.
მტარვალთა სამოთხეა ამ მშვენიერ მხარეში
და მდაბიო ხალხისთვის მხოლოდ ჯოჯოხეთია.

სასიკვდილო მახვილი ვიცით, უნდა ავლესოთ,
ზურგში ჩავცეთ მტარვალებს, მტერს არ უნდა დანდობა!
მათ სურთ გადაგვარების შხამით გული დაგესლონ,
მოგვიწამლონ სიცოცხლე, მთელი ახალგაზრდობა.

ანდა მონას რა უნდა ამ სანუკვარ მამულში?
გმინავს მთელი კუნძული, მტრის უღელქვეშ გართხმული,
მათ დაჰკარგეს სინდისი, მათ დაჰკარგეს ნამუსი.
ღარიბ მონას დასცინის მტერი წელგამართული,

ლას ვილიას, წინ გასწი, ვაშა თავისუფლებას!
ხალხს მონობა აშორე, დაუმკვიდრე ნათელი.
სიმართლის და კაცობის გზა ნუ მოგექუფრება,
კუბა, კუბა გვეძახის, მთელი ხალხის სახელით.

გამარჯვების გზა მოჩანს, საბრძოლველად გავედით,
მხიარულად გადადგი ნაბიჯი და დაჰკარი!
სიმართლის ჯარს დიდება! მოდის აღმოსავლეთით
საბრძოლველად იჩქარის კამაგუეს ლაშქარი.

კმარა, კმარა მონობა, დარგი ჩამოვიცილოთ,
ვაჟკაცების სიმღერამ მაღლა ზეცა დაფაროს,
როგორც ლაღმა ფრინველმა, ზღვები გადაიფრინოს,
ჩვენი ბრძოლის ამბავი დაე, ამცნოს სამყაროს.

ო, სიმღერავ, გაფრინდი, ამცნე ყველა მხარეში:
დაგვაქვს ცხელი გულებით რწმენა სამართლიანი,
ჩანჩქერების დგაფუნი და მზის სიმხურვალეში
ეკვადორის ვულკანთა დელგმა-გრგვინვა-გრიალი.

ყველგან გვეგებებიან! ო, გამხნევდი, ვილიას!
აგაბამა მოგველის, გამარჯვებას გვავალებს,
შენ დამუხიც მოგელის, ყველგან შენი შვილია,
ყველას უნდა მონობას გაუთხაროს სამარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცი და ეშმაკები

გრ. ჩიგაიშვილი ზღაპარი **ნახ. დ. ხახუტაშვილისა**

იყო ერთი ღარიბი ცოლ-ქმარი. ერთხელ მძინარე კაცს ეზოში ცოლი თავს დაადგა და გაჯავრებით ხელი ჰკრა:

— ადე, კაცო! გეყოფა! გაიღვიძე!

მძინარე დაფეთებული წამოჯდა:

— რა იყო, რა მოხდა დედაკაცო?

— დღესაც უქმად დააღამე ხომ?

— ამისათვის გამაღვიძე? — გაჯავრდა კაცი და მეორე გვერდზე გადაბრუნდა ძილის გასაგრძელებლად. ახლა კი ვეღარ მოითმინა ქალმა, ორივე ხელით დაუწყო ნჯღრევა:

— როდემდე ვეგდოთ სოროში, ბავშვები მაინც არ გეცოდება?

— ვენაცვალე იმათ! ისეთი სახლი ავუგო რომ... — თქვა კაცმა და ჭილოფზე ფეხი მოირთხა.

— როდის, მერე, როდის? — გაკაპასდა ქალი. კაცმა დინჯად გაიშვირა ხელი ეზოში დაწყობილ ხეტყისაკენ.

— ამ მასალას ხომ ხედავ?

— ესეც მე ვიძალე, თორემ...

— ჰოდა, ერთი ხელის წამოვლება უნდა.

— საქმეც ეგაა, როდის დააყენებ საშველს?

— სვეტის თავებს სულ ჩუქურთმებით მოვრთავ!

— ჯერ საძირკველი დადე!

— სურნელება რომ დააყენოს, შიგნით ნაძვის ფიცრებს გამოვაკრავ!

— ჯერ კედლები აღმართე!

— თეთრი თუნუქით დავხურავ...

— ჯერ ლარძაყინები გასდე!

— დერეფანს ფერადი მინებით ავაჭრელებ...

— ჯერ შუშაბანდი გააწყე!

— ისეთი ქვის კიბე მივადგა, სულ ქათქათი გაჰქონდეს.

— ჯერ სახლი დამანახვე, სახლი!.. სახლი!.. სახლი! — სასოწარკვეთილებით გაჰკიოდა ქალი.

— ხვალიდან შევუდგები მუშაობას.

— დღევანდელი დღე რატომ დაკარგე?

— დილა ღრუბლიანი იყო, მეგონა გაწვიმდებოდა.

— გუშინწინ რომ არც წვიმდა ღა არცა ცხელოდა?

— ნათლობაზე არ ვიყავით?

— იმის სწორს?!

— უქმე იყო.

— ხვალ სხვა რამეს გამოიგონებ კიდევ!

— არა, იმ ჩვენს შვილებს გეფიცები, რომ არა.

— ვნახოთ!

ამ ლაპარაკში დაღამდა კიდეც და შევიდნენ მიწურში.

* * *

ცა შავი ღრუბლებით გაიჭედა. დაჰბერა ქარმა, დატრიალდა კორიანტელი. გაიელვა, დაიგრუხუნა და წამოვიდა კოკისპირული წვიმა. საშინელი წივილ-კივილით, კისკისითა და როხ-როხით ეზოში შემოცვივდნენ ეშმაკები.

— ახ! ახ! ახ! რა მშვენიერი ღამე დაგვიდგა!..

— რა საამურად ქუხს!..

— რა თვალწარმტაცად ელავს!..

— ვაშა, ავდარს!

— ვაშა, ბნელ ღამეს!..

— არც ერთი სულდგმული გარეთ არ ჰაჰანებს!..

— ქვეყანა ჩვენ დაგვრჩა!.. ჩვენ დაგვრჩა!..

ყველაზე დიდმა ეშმაკმა დაიროხროხა: „შესდექით!“ და წამში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა... „ღრეობა მოვაწყოთ“ — სთქვა მან.

— ღრეობა მოვაწყოთ!—დასძახეს ერთხმად და ხტუნვა-ყვირილი მორთეს.

— ღრეობა, ღრეობა მოვაწყოთ!..

— ვიცეკვოთ!

— ვიმღეროთ!

—კი მაგრამ, ცეცხლი? კოცონი რითი დავანთოთ? სად ვიშოვოთ ხმელი ფიჩხი? — დაიყვირა მეორე დიდმა ეშმაკმა.

— ფიჩხი რად გვინდა? აი, ფიცრები საგულდაგულოდ შეუნახავს კაცს, — მიუგო პირველმა.

პატარა ეშმაკები მიცვივდნენ ხეტყეს, თავზე მოექცნენ და აჭყიპინდნენ:

— ჩვენთვის მოუმზადებია პატრონს...

— მაშ წავიღოთ, რაღას ვუყურებთ?!

დაწყობილი მასალა აანგრიეს, ფი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცარ-ფიცარ გაიტაცეს, თან ყურის-წამღებ ჭყვირილს განაგრძობდნენ:

— მშრალია აბედივით!..

— ხმელია კვარივით!..

— ჩირაღდნები ავანთოთ...

— რითი? — თქვა ერთმა.

— მუგუზლით, — უპასუხა მეორემ.

— სად ვიშოვოთ?.. — იკითხა მესამემ.

— მიწურში! — შემოსძახეს დანარჩენებმა და გარს შემოერტყნენ მიწურს.

— კარში ურდული რომ უყრია?

— ჭუჭრუტანაც რომ არა აქვს?

—როგორ შევძვრეთ? — უკმაყოფილოდ აყაყანდნენ ხნიერი ეშმაკები.

— ბუხრიდან ჩავძვრებით, — აწრიპინდნენ ეშმაკუნები და კისრით ჩაეშვნენ საკვამლე მილში. წამიც არ იყო გასული, — ისევ ამოფრინდნენ მუგუზლებით ხელში. დანარჩენებმა ფიცრები კბილებით დახლიჩეს, ბრჭყალებით დაჩილეს, ჩირაღდნები აანთეს, კოცონები გააჩაღეს, ხელიხელს ჩაჰკიდეს და ფერხული გააჩაღეს:

იყო ერთი აქაური
კაცი ზოზინაო...
ქოხი თავზე ენგრეოდა,
მას კი ეძინაო..
ბოლოს ცოლი გამოუდგა,
გაუმწარა დღეო...
ახალ სახლის ასაგებად
აზიდვინა ტყეო...
აზიდვინა, აწყო, აწყო,
ჰაუ რირა, აშა ჰა...
საქმე მაინც ვერ ააწყო
ჰაუ რირა, აშა ჰა...
დღეს ხვალეო, დღეს ხვალეო —
ჰაუ რირა, აშა ჰა...
მიტომ ნახავს ფერფლს ხვალეო —
ჰაუ რირა, აშა ჰა...
ჰე, ჰე, მედღე-მეხვალე
შე ზარმაცო კაცო...
ჰე, ჰე, ნეტავ ბევრი მოგვცა
შენისთანა სხვაცო...

ასე ამგვარად ილხინეს ეშმაკებმა და ღამის განმავლობაში მთლიანად დასწვეს სახლის ასაშენებელი მასალა.

დილით, კაცმა, მიწურიდან რომ გამოვიდა, შესძახა: „ვიშ, რა კარგი დარია! ნამდვილი სათევზაო ამინდი დამდგარაო!“ — და, სადურგლო იარაღების ნაცვლად, ბადეს წამოუსვა ხელი.

ეს რომ ცოლმა დაინახა, გამოუდგა:

— რას შვრები, კაცო, სად მიხვალო...

— წუხანდელი წვიმისაგან მდინარე აიმღვრეოდა, ახალ თევზს გაჭმევო.

— ამ წუთში მობრუნდი უკან! დაგავიწყდა გუშინდელი ჩვენი პირობაო?!

კაცმა ვეღარ გაუტეხა ხათრი, მიბრუნდა.

გაისმა ცოლის საშინელი ყვირილი:

— დავიღუპეთ, სახლის მასალა მოუპარავთო.

— მოუპარავთო?! — შებღავლა კაცმა და გულშეღონებული გაიშოტა მიწაზე.

არავინ იცის ამის შემდეგ რა ჰქნეს, აიშენეს თუ არა სახლი. თქვენ როგორ ფიქრობთ, აიშენებდნენ?!

რატომ ვაშლიან ასე...

ჩემს შემდეგ წარღვნაც მოსულა

„ჩემს შემდეგ წარღვნაც მოსულა!“ — ამ სიტყვებში, რომლებიც რევოლუციამდელი საფრანგეთის ერთ-ერთ მეფეს — ლუდოვიკო XV უთქვამს, ისტორიულად განწირული ფეოდალური საზოგადოების დამახასიათებელი პირუტყვული ეგოიზმია გამოსახული.

ამ სიტყვებში კარგად არის მოცემული არამარტო ცალკეული პიროვნების მსოფლმხედველობა, არამედ საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის წინა ხანების, მმართველი კლასების საერთო განწყობილება. ლუდოვიკო XV ნაკლებად ზრუნავდა სახელმწიფო საქმეებზე და მთელი თავისი ცხოვრება ქეიფსა და დროსტარებაში გაატარა. მეფის აღვირახსნილი ცხოვრება საფრანგეთის მოსახლეობას მილიონობით ფრანკი უჯდებოდა, რაც ისედაც გაღარიბებულ ხალხს მძიმე ტვირთად აწვა.

გაბატონებული კლასის მუქთახორობამ და შეუზღუდავმა თვითნებობამ მოსახლეობა უკიდურეს სიღატაკემდე მიიყვანა. ხალხის უკმაყოფილება აფეთქებით ემუქრებოდა მონარქიას; როდესაც ამის შესახებ ლუდოვიკოს მოახსენეს, მან თქვა:— არაფერია, სანამ მე ცოცხალი ვარ, მონარქია იარსებებს, ჩემი სიკვდილის შემდეგ კი წარღვნაც მოსულა!

ასეთივე მნიშვნელობისაა ქართულში გავრცელებული მეორე გამოთქმა: „ჩემს შემდეგ ქვა-ქვაზე ნუ დარჩენილა“. ქართულ მეტყველებაში ეს სიტყვები განსაკუთრებულად პოპულარული გახდა. მას შემდეგ,— წერს თედო სახოკია, — რაც ბოდბელმა მიტროპოლიტმა იოანემ წარმოთქვა სიკვდილის წინ. მეუფეო, სიკვდილის წინ დალოცე საქართველო და შენი სულიერი სამწყსოო, — უთქვამთ მისთვის. იოანეს კი უპასუხია: — „თუ მე არ ვიქნები, ქვა-ქვაზე ნუ დარჩენილაო“.

ყურეკ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხრობა

მზემ ღამის ბინდი გაფანტა. აყღურტულდნენ ჩიტები, ქება შეასხეს მნათობს. მზის სხივები ბადრის ოთახშიც შეიჭრნენ და მძინარე ბიჭუნას თვალებში ჩახედეს. ბადრი შეიშმუშნა და ფანჯარაში გაიხედა; ნამიანი ბალახი მზის სხივებზე ათასფრად ბრწყინავდა. მთებიდან მონაბერი ნიავი ნელა აშრიალებდა დაბურული ხეების ფოთლებს. ბებია უკვე ამდგარიყო და ეზოში ფუსფუსებდა, ქათმებს აპურებდა.

დილამ მხიარულ გუნებაზე დააყენა ბადრი, საჩქაროდ წამოხტა, პირი დაიბანა და საუზმეს მადიანად შეექცა.

უცებ სტვენის ხმა შემოესმა. „ჩვენი ბიჭები არიან“, —გაიფიქრა მან და სასწრაფოდ დაამთავრა საუზმე, მერე ბებიას გასძახა, ბიჭებთან მივდივარო, და შურდულივით გავარდა.

— ლახტი! — შესძახა შეგროვილ თანატოლებს და მალე ქამრების შხუილიც გაისმა.

— ბადრი-ი!-ი! ბიჭო, ბადრი-ი-ი! — მოისმა ამ დროს გაბმული ძახილი.

ნახ. ჯ. ლოლუასი

— ბიჭებო, ბებია მეძახის, თქვენ ითამაშეთ ჩემ მოსვლამდე, მეც მალე დავბრუნდები, — მიაძახა ბიჭებს ბადრიმ და სახლისაკენ მოკურცხლა. ეზოში რომ შევარდა, ჭიშკართან დაბმულ ბოჩოლას მიუალერსა, იქვე ჩაცუცქულ კატას კი კუდზე ფეხი დაადგა, საცოდავად აიჩხავლა და მერე მთლად გახვითქული სამზარეულოში შევარდა.

— ბიძია! — შესძახა გახარებულმა ბადრიმ და შუაცეცხლთან მჯდომ კაცს შეახტა.

— ბიძიამ, შვილო, საჩუქარი მოგართვა, — თქვა ბებიამ და სახაჭაპურე ცომს უფრო მაგრად დააჭირა მუშტი. ბადრის ლეკვის წკმუტუნი შემოესმა, გაოცებულმა მიმოიხედა და ცეცხლის პირას ჩაცუცქული პატარა ლეკვი რომ დაინახა, გახარებული ახლა იმას მივარდა, ხელში აიტაცა.

თოვლივით თეთრ ლეკვს კუპრივით შავი ყურები ჰქონდა. ბადრიმ ეს რომ შენიშნა, ბევრი აღარ უფიქრია და გრძელი ყურების გამო ლეკვს ყურშა უწოდა.

* * *

მალე დამეგობრდნენ ბადრი და ყურშა. სკოლიდან დაბრუნებული ბადრი გაკვეთილების მომზადებას რომ მორჩებოდა, ყურშასთან თამაშით ერთობოდა, აღარც ბიჭები ახსოვდა და აღარც ლახტი. დიდი წვალების შემდეგ ბადრიმ ყურშას სალამზე პასუხის გაცემა ასწავლა. „გამარჯობა!“ — ეტყოდა ბადრი, ყურშაც დინჯად ასწევდა მარჯვენა თათს და გამოწვდილ ხელისგულზე დაადებდა.

გავიდა ხანი, გაიზარდა ყურშა. ბადრი ვეღარ ცნობდა მეგობარს. ძაღლი ბუჩქებში დარბოდა, რაღაცას ყნოსავდა, წკმუტუნებდა. უკვირდა ბადრის, მიზეზს კი ვერ გებულობდა.

ერთ დღეს, ლოგინიდან არც კი ამდგარიყო ბადრი, — ეზოდან ბებიას გაკაპასებული ხმა და ყურშას საცოდავი წკავ-წკავი შემოესმა.

— ჰაიტ, შე წუწკო შენა, დაგიჭირე?! აი, თურმე ვინ აჩანაგებს ქათმებსა და ინდაურებს! მე შენ გიჩვენებ სეირს! — ანჩხლობდა ბებია.

ბადრი ზეზე წამოხტა, ფანჯარასთან მიირბინა და დაინახა, რომ თოკით ხეზე მიბმულ ყურშას ბებია წკეპლით სცემდა. ბადრის თვალები ცრემლებით აევსო.

— რა მოხდა, ბები, განა ისეთი რა დაგიშავა ყურშამ, ასე რომ სცემ?

— რაღა რა მოხდა! დაეჭირა ინდაურის ჭუკი და ბაღჩისაკენ მიაქანებდა, ალბათ იქ უნდა შეესანსლა ამ წუწკს, ამასა! — და ბებიამ უფრო უმატა ცემას.

დიდხანს ეხვეწა ბადრი ბებიას, ეპატიებინა ყურშასათვის, პირობა მისცა: დღეის იქით დაბმულს ვიყოლიებ ძაღლსაო.

* * *

ერთ დილას ბებია ნათესავებთან გაემგზავრა მეზობელ სოფელში და ბადრის დაუბარა: შვილო, მე შეიძლება საღამომდე ვერ დავბრუნდე და აბა, შენ იცი, ჭკუით იყავი. გაკვეთილებს რომ მორჩები, მერე ბაღჩას თუ გათოხნი, კარგი იქნებაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლიდან დაბრუნებულმა ბადრიმ სასწრაფოდ მოამზადა გაკვეთილები და მერე ბაღჩისაკენ გასწია. ბაღჩაში სარეველა ბალახი მომრავლებულიყო და ნათესებს ჯაბნიდა. ერიჰა! — შესძახა ბადრიმ და მუშაობაში გაერთო. უცებ, მიწაში თოხი რაღაც რბილს წამოედო, ფრთხილად ამოთხარა და გაოცებული დააცქერდა: მის ფეხებთან ქათმის ორი მკვდარი წიწილა ეყარა.

— ბადრი-ი-ი! — შემოესმა ამ დროს გაკვირვებულ ბიჭუნას. ბადრიმ თოხი იქვე დააგდო და სახლისაკენ სირბილით გასწია. ეზოში რომ შევიდა, ბიძა შენიშნა, იგი ყურშას ეალერსებოდა.

— ბიჭო, ეს ძაღლი რად დააბით? დააშავა რამე? — იკითხა ბიძამ. ბადრის სახე მოეღუშა, ყველაფერი დაწვრილებით უამბო. ბაღჩაში ნახულიც არ დაივიწყა.

— ახლავე ახსენი ყურშა. მაგის ბრალი არაფერია. მე დამავიწყდა შენთვის მეთქვა, რომ ეს ძაღლი მეძებარის ჯიშისაა და გაწვრთნა უნდოდა. როგორც ხედავ, ჯიშმა თავისი გაიტანა. როცა არავინ არ გაწვრთნა, თვითონ დაიწყო ნადირობა შინაურ ფრინველებზე. დაჭერილ ფრინველებს კი არ ჭამდა, მიწაში მარხავდა, როგორც ეს მეძებრებს სჩვევიათ.

გახარებულმა ბადრიმ მაშინვე აუშვა ძაღლი.

შინ დაბრუნებულ ბებიას ყველაფერი უამბეს.

ბიძამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ძაღლი კარგად გაწვრთვნა. და, აი, ერთ კვირა დღეს სანადიროდ წავიდნენ. იმ დღეს ყურშამ თავი ისახელა. შეუცდომლად დგებოდა ნაბულზე და ბიძას შეძახილზე: „ეცი“, ზედიზედ ამოაფრენდა ხოლმე ტყის ქათმებს. ის იყო ნადირობას ამთავრებდნენ რომ, ყურშა რაღაცას წკავ-წკავით გამოუდგა. ცოტა ხნის შემდეგ კი ბადრის კურდღლის ცოცხალი ბაჭია მიურბენინა.

გ. კოპლატაძე,
თბილისის 23-ე სკოლის
IX კლ. მოსწავლე.



თანამშრომელი იზრდის წვერს

— პატივცემულო, — უთხრა დირექტორმა თავის თანამშრომელს, — თქვენ დიდი წვერი გაქვთ და უხერხულია, უნდა გაიპარსოთ!

— კი ბატონო, მაგრამ მე წვერს ვიზრდი, — უპასუხა თანამშრომელმა.

— შინ რაც გნებავთ ის აკეთეთ, მაგრამ სამსახურში წვერგაპარსული მობრძანდით ხოლმე! — მიუგო დირექტორმა.

ენამოსწრებული მათხოვარი

მათხოვარმა მდიდრის კარზე მიაკაკუნა.

— უფროსები შინ არ არიან! — გამოსძახეს მას.

— მე უფროსებს კი არა, მოწყალებასა გთხოვთ!

მატარებელში

ორმა კაცმა, რომელთაც ერთმანეთი მატარებელში გაიცნეს, ბევრი ისაუბრეს.

— მიდიხართ დღეს მილბერის ლექციაზე? — უთხრა ბოლოს ერთმა.

— დიახ, — მიუგო მეორემ.

— ნუ წახვალთ, ამბობენ, მილბერი ძალიან ცუდი მოსაუბრეაო.

— იძულებული ვარ წავიდე, — თქვა მეორემ, — მე გახლავართ მილბერი.

* * *

მხატვარი: — შეხედეთ, სერ, სურათს: „ძროხა საძოვარზე“.

მნახველი: — კი, მაგრამ, სად არის აქ ბალახი?

მხატვარი: — ძროხამ შეჭამა.

მნახველი: — ძროხა სადღა დაიკარგა?

მხატვარი: — როგორ ფიქრობთ, ძროხა განა სულელი იყო, — ბალახი შეეჭამა და კიდევ აქ გაჩერებულიყო?!

თარგმნა თბილისის 53-ე სკოლის მოსწავლე **რამაზ გახოკიძემ.**

საბჭოთა კოსმონავტი

მისი ხომალდი ცაში ავარდა,
და დაბლა დარჩა მაღალი მთები!
შორს მიფრინავდა კოსმოსისაკენ
ჩვენი პარტიის მედგარი ფრთებით.

და როს ვისმენდით მის მაჯისცემას,
რეკდა ისე, ვით მშვიდობის ზარი;
ტიტოვს უსმენდა მთელი მსოფლიო,
რაინდს და გმირთ-გმირს საბჭოთა მხარის.

ნანული ჩაჩუა,
სამტრედიის რაიონის გომის 8-წლიანი სკოლის VIII კლ. მოსწავლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი კულტურის ძეგლები

ნოდარ ჯანბერიძე

გელათი

გელათი ქართული კულტურის ერთ-ერთი თვალსაჩინო ძეგლია. მისი მნიშვნელობა შუასაუკუნეებში გასცდა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს. იგი დიდ როლს თამაშობდა არა მარტო როგორც სასულიერო, არამედ როგორც განათლების დიდმნიშვნელოვანი კერაც. ტყუილად როდი ამბობს მემატიანე, რომ გელათი «აწ წინამდებარე არს ყოველსა აღმოსავლისა მეორედ იერუსალიმად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღურად სწავლობისად, სხვად ათინად, ფრიად უაღრეს მისსა». ე. ი. მეცნიერების განვითარების დონით ედრება ფილოსოფიური აზროვნების სახელმოხვეჭილ ცენტრს ძველ საბერძნეთში — ათენს, ხოლო საეკლესიო მოღვაწეობით, იერუსალიმს—ქრისტიანობის ყველაზე მნიშვნელოვან კერას. გელათში შეიქმნა ფილოსოფიური თუ საისტორიო მწერლობის არა ერთი ძეგლი, არქიტექტურის, მონუმენტური მხატვრობის, ოქრომჭედლობის შესანიშნავი ნიმუშები, რომლებიც ქართული კულტურის ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ფურცლებს შეადგენენ.

გელათის დაარსება დავით აღმაშენებლის (1089—1125) სახელთანაა დაკავშირებული. იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკურმა, ეკონომიურმა და კულტურულმა სიძლიერემ შესაძლებლობა მისცა მეფეს ასეთი მასშტაბისა და მნიშვნელობის ცენტრი დაეარსებინა, და აქ საქართველოსა თუ საზღვარგარეთიდან მოეწვია გამოჩენილი სასულიერო და სწავლული პირნი.

გელათის მონასტრისათვის ქუთაისთან ახლომდებარე ულამაზესი მთაგორიანი ადგილი შეურჩევიათ და აქ ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი აუგიათ. ეს ტაძარი უმთავრესია გელათის მთელ ანსამბლში, რომელშიც, გარდა აღნიშნულისა, წმინდა გიორგისა და წმინდა ნიკოლოზის ეკლესიები, სამრეკლო, აკადემიის შენობა და მცირე ეკლესიებია აშენებული.

მონასტერს გარშემო გალავანი ერტყმის. ღვთისმშობლის ტაძარი მნიშვნელოვან მხატვრულ აქცენტს ქმნის არა მარტო თვით ანსამბლში, არამედ გარემომცველ გარემოშიც. მოყვითალო-მოყავისფრო ქვით მოპირკეთებული, გუმბათით დაგვირგვინებული გრანდიოზული ნაგებობა შორიდანვე იპყრობს მნახველის ყურადღებას.

ტაძარი, როგორც უკვე ითქვა, დავით აღმაშენებლის მიერაა აგებული, 1106—1125 წლებში. ჩრდილოეთისა და სამხრეთის მინაშენები მშენებლობის მეორე რიგს უნდა ეკუთვნოდნენ.

ღვთისმშობლის ტაძარი ქართული აქიტექტურის განვითარების კანონზომიერი მოვლენაა. იგი თავისი ეპოქის პირმშოა და ამ დროისათვის დამახასიათებელ საერთო ნიშნებს ატარებს.

ტაძარი ჯვარულ-გუმბათოვანი ტიპის ძეგლს წარმოადგენს: გეგმაში იგი ჯვარის მოხაზულობისაა, ცენტრში დაგვირგვინებული გუმბათით. ტაძრის შიდა სივრცე გრანდიოზულია და ამაღლებულ განწყობას ქმნის, ამას ხელს უწყობს კედლის მოხატულობაც, რომელშიც გამოირჩევა შესანიშნავი მოზაიკა საკურთხეველში. იგი შესრულებულია დავით აღმაშენებლის ვაჟის დემეტრე მეფის დაკვე-

თით, 1125—1130 წ. წ. ეს მოზაიკა ქართული სახვითი ხელოვნების ერთ-ერთი ბრწყინვალე ნიმუშია, ორიგინალური და თვითმყობადი.

ტაძრის შიგნით უხვადაა კედლის მხატვრობა, რომელიც სხვადასხვა დროს მიეკუთვნება: აქ არის XII—XVIII საუკუნეებში შესრულებული ფრესკები.

ტაძრის ფასადები შედარებით სხვა იმდროინდელ ძეგლებთან ორნამენტებით ნაკლებადაა შემოსილი. ყურადღებას იპყრობს კედლის ერთიანი სიბრტყე, რომელიც უზარმაზარი, ზოგჯერ 4 მ სიგრძის ქვებითაა ნაგები.

ამ დიდი ტაძრის აღმოსავლეთით დგას წმ. გიორგის ეკლესია, აშენებული XIII საუკუნეში. იგი გეგმაში ჯვრის ფორმას ატარებს და გუმბათითაა დაგვირგვინებული. ამ ეკლესიაში საინტერესოა კედლის მოხატულობა, შესრულებული XVI საუკუნეში. როგორც წარწერებიდან ჩანს, იგი შესრულებულია კათალიკოს ევდემონ ჩხეტიძის შეკვეთით.

XIII საუკუნესვე მიეკუთვნება დიდი ტაძრის დასავლეთით აშენებული პატარა ეკლესია, რომელიც წმ. ნიკოლოზის სახელს ატარებს. ეს კოხტა ნაგებობა მეტად საინტერესოა თავისი არქიტექტურით. ეკლესია მეორე სართულზეა და თაღებზეა შემდგარი. ჩრდილოეთ მხარეს მიმდგარი ქვის კიბეები, მხატვრულად ჩართული საერთო კომპოზიციაში, ეკლესიის არქიტექტურას მეტად მომხიბვლელსა ხდის.

ამ ეკლესიის დასავლეთით შემორჩენილია ძველი აკადემიის ნანგრევები. აკადემია XII საუკუნეშია დაარსებული და XVI საუკუნემდე იარსება. აკადემიას შორს ჰქონდა განთქმული სახელი. აქ ასწავლიდნენ გეომეტრიას, არითმეტიკას, მუსიკას, რიტორიკას, გრამატიკას, ფილოსოფიასა და ასტრონომიას. აკადემიაში მოღვაწეობდა არა ერთი ცნობილი მეცნიერი. აქ განსაკუთრებით ჩქეფდა ცხოვრება XII საუკუნეში, როდესაც მოღვაწეობდა სახელგანთქმული იოანე პეტრიწი.

გელათი ქართველ მეფეთა სამარხი ადგილიც იყო. ღვთისმშობლის ტაძრის სამხრეთით მცირე ეკლესიაში, რომელიც გალავნის ჭიშკარსაც წარმოადგენდა, უზარმაზარი ქვის ფილაა, რომელზედაც ყველა შემსვლელი აუცილებლად გადადიოდა. ეს დავით აღმაშენებლის საფლავია, ზედ წარწერით.

გელათის ანსამბლში სხვა ნაგებობებიც შედის, მაგრამ ძირითად მხატვრულ-არქიტექტურულ სახეს სწორედ აღნიშნული ნაგებობები ქმნიან.

გელათის ანსამბლი, მიუხედავად იმისა, რომ ერთდროულად არ არის აგებული, ერთიან, გააზრებულ მხატვრულ იდეას ემორჩილება. მკაფიოდ იკითხება მთავარი აქცენტი — ღვთისმშობლის დიდი ტაძარი, რომელიც მკვეთრად გამოირჩევა მთელ ანსამბლში, როგორც წამყვანი ელემენტი, მაგრამ ისე, რომ იგი არ ჩრდილავს სხვა არქიტექტურულ ნაგებობებს, რომელთაც თავიანთი მნიშვნელობა ეკისრებათ ამ კომპლექსში.

გელათთან დაკავშირებულია ქართული ოქრომჭედლობის ისტორიაც. აქ არა ერთი ნამუშევარი შეუქმნიათ ძველ ოქრომჭედლებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია საქვეყნოდ ცნობილი ხახულის ღვთისმშობლის ხატი, მოჭედილი გელათში XII საუკუნეში.

მარილი

ადამიანისათვის უხსოვარი დროიდანვე ცნობილია მარილი. დროთა განმავლობაში მას სიმბოლური მნიშვნელობაც კი მიანიჭეს. რომაელი მწერალი პლინი წერს, რომ ძველ რომში არც ერთი მსხვერპლშეწირვა არ ხდებოდა მარილის გარეშე. ეგვიპტესა და აფრიკის სხვა ქვეყნებში მარილი ავგაროზად ითვლებოდა, რომელიც კაცს თითქოს უბედურებებისაგან იფარავდა. სენეგალში სწამდათ, რომ ყველას, ვინც წარმოთქვამდა ფრაზას: „ჩვენ მარილს ვჭამთ“, უბედურება არ აცდებოდა. ჩვენში გამოთქმა „პურ-მარილი“ სტუმართმოყვარეობის სიმბოლოდ იქცა.

შორეულ წარსულში მარილი ძალზე ძვირი ღირდა. როცა მარილზე გადასახადი აიწევდა, ეგრეთწოდებული „მარილის აჯანყებები“ იფეთქებდა ხოლმე. ფილოლოგების აზრით, საერთაშორისო სიტყვა „სალდათი“ (ჯარისკაცი) წარმომდგარია ლათინური სიტყვისაგან — „სალ“ (მარილი). ეს იმით აიხსნება, რომ დაქირავებულ ჯარისკაცებს რომში ხშირად გასამრჯელოდ მარილს აძლევდნენ. იტალიის ერთ-ერთ უძველეს გზას, რომლითაც მარილს ეზიდებოდნენ, ახლაც ვია სალარია — მარილის გზა — ქვია. საჰარის მცხოვრებთათვის მარილი თვით ჩვენს დროშიაც გასაცვლელ პროდუქტს წარმოადგენს — მას ხშირად ფულის მაგიერ იყენებენ.

ცხელ ქვეყნებში მცხოვრები ადამიანის სხეული უხვად გამოყოფს ოფლს, რის გამოც მარილის დიდ რაოდენობას კარგავს. ამიტომ აუცილებელია ორგანიზმისათვის დამატებითი მარილის მიწოდება, ან საკვებში, ან ტაბლეტებით. მარილი ააქტიურებს გულის მუშაობას, თანაც ადამიანს მზის დაკვრისაგან იცავს. თუ ადამიანის ორგანიზმს მარილი აკლია, იგი ავადდება, ხოლო სრული უმარილობის შემთხვევაში — თანდათანობით უძლურდება და კვდება.

გამოანგარიშებულია, რომ დედამიწის მოსახლეობისათვის ყოველწლიურად საჭიროა 22 მილიონ ტონაზე მეტი სუფრის მარილი. თითოეულ ადამიანს საშუალოდ წელიწადში 8 კილოგრამი მარილი უნდა.

მიწის წიაღში ბევრია ქვამარილის მარაგი, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ისიც გამოილევა. ამიტომ ხმარებაში მყოფი მარილის ერთ მესამედს ზღვის წყლისაგან ღებულობენ. 1 ათასი კუბური მეტრი ზღვის წყლისაგან შეიძლება 1,3 ტონა მარილი მივიღოთ. სუფრის მარილის ამოუწურავი „საწყობია“ წყნარი ოკეანე, რომელიც 38 000 000 მილიარდ ტონამდე მარილს შეიცავს. ამ რაოდენობის მარილი კი კაცობრიობას 1,7 მილიარდ წელიწადს ეყოფა.

ვარჯიში ჰანტელებით





კარგია, როდესაც ჯანმრთელი და ღონიერი ხარ. ძლიერ, ღონიერ ადამიანს ცხოვრებაში ბევრად უადვილდება სიძნელეების გადალახვა. მისთვის სწავლაც, სპორტიც და შრომაც სახალისოა.

გინდა, ლამაზი აგებულება გქონდეს? ჯანღონით სავსე კუნთები ამშვენებდეს შენს სხეულს? მაშინ ნუ დაიზარებ, გადადე ჰანტელებით ვარჯიშისათვის დღეში 10-15 წუთი და მალე დაინახავ რა სასწაულების მოხდენა შეუძლია ნახევარ კილოგრამიან თუჯის ორთავებს. გახსოვდეს, რომ მთავარი დაწყებაა, შემდეგ კი ვარჯიშს თვით ორგანიზმი მოგთხოვს, ისე, როგორც პირის დაბანა ან ჭამა გინდა დილით.

ვარჯიში ნახევარკილოგრამიანი ჰანტელებით უნდა დაიწყო, მაგრამ ამის წინ ერთი-ორი თვე მაინც დილის გამამხნევებელ ვარჯიშს უნდა იყო შეჩვეული. ერთკილოგრამიან ჰანტელებზე გადასვლა მხოლოდ ერთი წლის ვარჯიშის შემდეგ შეიძლება. ვარჯიში აუცილებლად სუფთა ჰაერზე უნდა ტარდებოდეს. თუ



მტირალა თუთა

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეაბრეშუმეობის ფაკულტეტის ქუთაისის ზონალურ სადგურში მრავალ საინტერესო ხე-მცენარეს ნახავთ. იქ თქვენს ყურადღებას უსათუოდ მიიპყრობს იაპონური ჯიშის თუთის ხე — პენდულა. მას ჩვენებურად „მტირალას“ უწოდებენ. მისი ტოტები სხვა ხეებისაგან განსხვავებით ძირს არის დაშვებული და ერთი შეხედვით გულღრმა ქოლგას ემსგავსება. პენდულას სამშობლოში, იაპონიაში, „ მტირალა თუთის“ შესახებ მრავალი ლეგენდაა გავრცელებული. აი, ერთი მათგანიც: თურმე ძველად, ერთი ღარიბი ობოლი მებაღე და მეფის ასული ერთად დადიოდნენ სასწავლებელში. მებაღე შრომისა და სწავლის მოყვარული იყო, იგი მეფის ასულსაც შველოდა სწავლაში. ისინი მუდამ ერთად იყვნენ და ერთმანეთის სიშორეს ვერ იტანდნენ. ბოროტმა ენებმა მათი მეგობრობის ამბავი მეფეს გააგებინეს. განრისხდა მეფე და ორივეს სიკვდილით დაემუქრა, თუ ისინი ერთმანეთს არ დაშორდებოდნენ. მაგრამ მუქარამ ვერ სძლია მეგობრობას. ქალ-ვაჟი კვლავ ხვდებოდა ერთმანეთს. მაშინ მეფემ გადაწყვიტა თავისი მუქარის სისრულეში მოყვანა. დამწუხრებულ ყმაწვილს ეს რომ გაუგია, ერთ-ერთი თუთის ხის ძირას მისულა და თავი მოუკლავს. მეფის ასულს ცხარედ დაუტირია მეგობარი და მერე იმავე ხის ძირას მასაც დაუცია მკერდში დანა.

თუთის ხეს ტოტები ძირს დაუხრია, დაუფარავს ერთმანეთისათვის ტანჯული მეგობრები და ცხარედ დაუტირებია ისინი. იმ დღიდან მოკიდებული თუთის ხეს ტოტები ზევით აღარ აუწევია და სულ „ტირის“. ხალხმაც ამიტომ უწოდა მას „მტირალა თუთის ხე“.

ხე—ბოლიკოი

კალიფორნიაში, სიერა-ნევადას მთებში ხარობს ხე, რომელიც ხე—გოლიათის, ხე—გიგანტის სახელით არის ცნობილი. მას მეორენაირად საექვოია ეწოდება, ხშირად მამონტის ხესაც უწოდებენ. იგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთახში ვარჯიშობ, ფანჯარა გააღე. ვარჯიში დილით, ძილის შემდეგ უნდა ჩაატარო (ასე 8-10 წუთი). თუმცა, ამ ვარჯიშების რამდენჯერმე შესრულება შეიძლება დღის სხვადასხვა დროსაც, განსაკუთრებით კარგია იგი მეცადინეობის შემდეგ, შესვენებისას. ვარჯიშის წინ 30-60 წამი ადგილზე უნდა იარო და იხტუნო.

აქ მოთავსებული ვარჯიშები ძირითადად 12-14 წლის ვაჟებისათვის არის განკუთვნილი.

1. მკლავების მოხრა. 2. რიგრიგობით მკლავებით წინშვერი. 3. მკლავების მოხრა იდაყვებში და შემდეგ განმკლავი. 4. უკანმკლავი. 5. განმკლავი. 6. გაშლილი მკლავების ზევით-ქვევით მოძრაობა. 7. მკლავების მოძრაობა წინ და უკან. 8. მკლავების ტრიალი ტანის გარშემო. 9. გვერდზე დახრა. 10. ტანის [illegible]. 11. გვერდზე გადახრა, მკლავის მაღლა აწევით. 12. წინ დახრა მკლავების ფეხებშუა გატარებით. 13. დახრა





მობრუნებით. 14. ტანის გასწორება მოუხრელად. 15. ზედა ტანის აწევა, დაუხრელად. 16. ზურგის დახრა. 17. ზურგის დახრა ხელების მოხრასთან ერთად. 18. ბუქნი. 19. ბუქნი დახრით. 20. წინ ვარდნა, ზურგის დახრით. 21. წონასწორობა ცალ ფეხზე.

გ. ჩხარტიშვილი

ხუთიათას წელს ცოცხლობს და 150 მეტრის სიმაღლისა იზრდება. საექოიას მთავარი ღეროს დიამეტრი 32 მეტრს აღწევს. მისი გრანდიოზულობის უფრო ნათლად წარმოსადგენად, შედარების მიზნით შეიძლება ითქვას, რომ საშუალო სიმაღლის 90 კაცი ერთმანეთს რომ შეადგნენ მხრებზე, ისინი ძლივს მისწვდებიან ხის კენწეროს. საექვოას ერთი ხისაგან დახერხილი მასალის გადასაზიდად საჭიროა 60 ვაგონისაგან შემდგარი მატარებლის ეშელონი. ერთი გიგანტი ხის მასალა თავისუფლად ყოფნის მშენებლებს ორმოცდაათი ხუთ-ხუთ ოთახიანი სახლის ასაშენებლად.

ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ეს ხე ბევრისათვის უცნობი იყო, კალიფორნიელმა მეტყეველებმა გადაწყვიტეს მისი პარიზში ჩატანა და ევროპელებისათვის ჩვენება. დიდ ხანს ეძებეს მეტყეველებმა ისეთი სიდიდის ერდოიანი გემი, რომელიც დაიტევდა საექვოიას ხის ორ გადანაჭერს. და აი, გარკვეული სიძნელეების გადალახვის შემდეგ პარიზელებმა იხილეს იგი.

ერთ გადანაჭერზე თავისუფლად მოთავსდა როიალი თავისი დამკვრელით, ექვსკაციანი ორკესტრი და თექვსმეტი წყვილი მოცეკვავე ქალ-ვაჟი. ხოლო მეორე ნაჭრის ზედაპირზე ააგეს საჩვენებელი სახლი, რომელშიც გამართეს სტამბა, ააწყვეს და დაბეჭდეს გაზეთი „გოლიათი ხის ცნობები“. პირველი ცნობები ამ ხის შესახებ სწორედ ამ გაზეთში დაიბეჭდა.

საექვოიას მერქანი მსუბუქია. იგი კარგად ინახება მიწის სიღრმეში და შესანიშნავად უძლებს სინესტეს. მისგან წყალსადენის მილებსაც ამზადებენ. საექვოია წითელმერქნიანია და სწორედ ამიტომ შეარქვეს მას წითელი ხე.

საექვოია შემოსილია გვერდითი ტოტებით, რომელთაგან ზედა ტოტები ზეცისაკენაა მიმართული, შუა ტოტები განწყობილია ჰორიზონტალურად, ხოლო ქვედა ტოტები დახრილია დედამიწისაკენ.

ანა ნემსაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლოდ ყველაფერზე

საოცარი კლდე

ხაბაროვსკის მხარეში, მდინარე განგალაძის ნაპირთან აღმართულია კლდე ბახალაზა. მის წვერზე დიდი ხნის წინათ სამლოცველო ააშენეს. რით არის ღირსშესანიშნავი ეს კლდე?

წვიმის დაწყების წინ ბახალაზის ქვები „ატირდებიან“ ხოლმე. ისინი გამოყოფენ მსხვილ წვეთებს, რომლებიც ცრემლებს მოგვაგონებს. როცა ეს კლდე „ტირის“, ეს იმას ნიშნავს, რომ მალე წყალი აიწევს, რაც მენავეებისათვის საშიშროებას წარმოადგენს.

ადგილობრივი მცხოვრებლები ფიქრობდნენ, რომ კლდის „ტირილი“ უბედურების მაუწყებელია. ისინი ბახალაზის „ცრემლებს“ „კეთილი ძალების“ გამაფრთხილებელ ნიშნად თვლიდნენ და არსად ფეხს არ გადადგამდნენ, სანამ საშიშროება არ გაივლიდა.

მაგრამ, ცხადია, აქ საქმე კეთილ ან ბოროტ ძალებში როდია. უველაფერი გაცილებით უბრალოდ აიხსნება.

წვიმები განგალაძის სათავეებში, ადგილმდებარეობის თავისებური რელიეფის გამო, ერთბაშად როდი სწეკენ მაღლა მდინარის დონეს. წყლის მასები გროვდება იმ ადგილებში, სადაც წვიმა მოდის, ხოლო სათავეებიდან შორს, ბახალაზთან, წყლის ადიდება რამდენიმე ხნის შემდეგ იწყება.

წვიმებით გამოწვეული ჰაერის დიდი ტენიანობა, ამ ადგილებში მიწის ფენების მიერ წყლის შთანთქმის უნარიანობა, ქმნის ისეთ პირობებს, რომლის დროსაც ბახალაზის ფოროვანი ქვები ისრუტავენ სინოტივეს, შემდეგში კი, ზედმეტ ტენს „ცრემლების“ სახით გამოყოფენ.

ოქროდან — პლასტმასამდე

ძველ დროში ფულს ძვირფასი ლითონებისაგან (ოქრო, ვერცხლი, სპილენძი) ჭრიდნენ. თანდათანობით, ეს ძვირფასი ლითონები სხვადასხვა შენადნობმა შეცვალა. მაგრამ მოსახლეობა თურმე ყოველთვის როდი იწონებდა ფულის გამომშვებთა ზოგიერთ ცდას.

ინგლისის მეფე ჰენრიხ VIII ცდილობდა იაფი ლითონებისაგან დამზადებული ფული გაევრცელებინა თავის სამეფოში. ამ ფულმა მალე დაკარგა თავისი პირვანდელი ღირებულება, რის გამოც მისი გამოშვება საბოლოოდ შეწყვიტეს. ასეთი უვარგისი ფულის გამოშვებისათვის ხალხმა ჰენრიხ მერვეს „ბებერი სპილენძის ცხვირი“ შეარქვა.

შემდეგში ზოგიერთმა სახელმწიფომ ცადა შეეწყვიტა საერთოდ ლითონის ფულის გამოშვება. მაგალითად, გერმანიამ პირველი ომის შემდეგ გამოუშვა პაპიერმაშესა და ფაიფურისაგან დამზადებული ფული. მაგრამ ამ ფულს საკმაო სიმაგრე არ ჰქონდა და მალე გამოვიდა ხმარებიდან.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა პირველი მსოფლიო ომის დროს ,სპილენძის დაზოგვის მიზნით, მინის სამცენტიანები გამოუშვა.

ამ უკანასკნელ ხანს ბრიტანეთში გადაწყვიტეს გამოუშვან პლასტმასისაგან დამზადებული ფული.

ორი ათასი მარცვალი ერთ თავთავში

სამხრეთ ჩინეთში, ხუანანის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის საცდელ სადგურში გამოიყვანეს ბრინჯის ახალი, არაჩვეულებრივი ჯიშები. ერთ-ერთმა ჯიშმა— „სინგუი“ № 4 — მეხუთე შთამომავლობაში გაიკეთა თავთავი, რომელიც 1.745 მარცვალს შეიცავდა, ხოლო მეექვსე შთამომავლობაში გაიკეთა სამი თავთავი, თითოეული — ორიათასი ბრინჯის მარცვლით.

175 წლის შემდეგ

დანიის მოქალაქე იანსენი და გერმანელი ეკჰარტი ამას წინათ სფერული აეროსტატით ლა-მანშის სრუტეზე გადაფრინდნენ. მათ სტარტი ინგლისის ქალაქ ლიდსეიში აიღეს და ბრიუგეს (ბელგია) მახლობლად დაეშვნენ მიწაზე.

იანსენმა და ეკჰარტმა გაიმეორეს რეკორდი, რომელიც 175 წლის წინათ იქნა დამყარებული.

ჟურნალი ოჩაფეხებზე

ოჩაფეხებით სიარული ბევრისათვის ცნობილია, როგორც საცირკო ნომერი ან სპორტული შეჯიბრება.

ერთ დროს ოჩაფეხების დახმარებით დადიოდნენ საფრანგეთის ჭაობიანი ველების მცხოვრებნი. მართალია, ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ამოაშრეს ეს ველები და იქ ფიჭვის ტყეები გააშენეს, მაგრამ ადგილობრივი მწყემსები არ ივიწყებენ ტრადიციას და ახლაც ოჩაფეხებზე შემდგარნი მწყემსავენ ცხვარს.

ერთ-ერთმა მწყემსმა თავის ოჩაფეხებს ელექტრონათურები გაუკეთა. როდესაც ველზე ნისლი ჩამოწვება, ნათურები გზას უნათებენ ფარას, ღამით, გზატკეცილზე გადასვლისას კი — ავტომძღოლებს ნიშანს აძლევენ: ფრთხილად, ცხვრის ფარა მოდის!

ოპერა „მოგზაურობა მთვარეზე“

სათაურის მიხედვით ალბათ იფიქრებთ, რომ ლაპარაკი შეეხება რომელიმე თანამედროვე კომპოზიტორის მიერ თანამედროვე სიუჟეტზე დაწერილ ოპერას. სინამდვილეში კი ეს ასე როდია. ადამიანს დიდი ხანია ოცნებად აქვს მთვარეზე მოგზაურობა. ამ თემაზე ბევრი რომანი, პოემა და პიესა დაიწერა. იტალიელმა დრამატურგმა კარლო გოლდონმაც თავის ერთ-ერთ პიესას „მოგზაურობა მთვარეზე“ უწოდა. ამ პიესის სიუჟეტზე 1778 წელს ოპერა დაწერა დიდმა ავსტრიელმა კომპოზიტორმა იოსებ ჰაიდნიმ. ჰაიდნი იმ დროს მსახურობდა უნგრელ თავად ესტერგაზთან, ამიტომ ამ ნაწარმოების პირველი შესრულება თავადის დაბადების დღეს დაუკავშირა.

ოპერა „მოგზაურობა მთვარეზე“ მალე დავიწყებას მიეცა. იგი დიდხანს დაკარგულად ითვლებოდა. მხოლოდ ამ რამდენიმე ხნის წინ აღმოაჩინეს ესტერგაზის არქივში. ჰაიდნის ეს ოპერა ძალზე მხიარული და მელოდიური აღმოჩნდა.

„ПИОНЕРИ“ журнал ЦК ЛКСМ Грузии и республиканского совета пионерской организации имени В. И. Ленина.
№ 11 1961 г. Тбилиси, пр. Плеханова, 91. Тел. 5—07—43
სსსრ საბჭოთა და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა „ნაკადული“. | რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პრ. 91. ტელ. 5-07-43
უე 00107 ტ. რ. 24.000. ბინ. ფორ. რაოდ. 4¹/₂₁ ფიზ. ფორ. რაოდ. 2. ხელმოწერ. დასაბ. 26/X-61 წ. სტამბის შეკვ. 1778. გამომც. შეკვ. 431. ფას. კმ ცალ-ის გამომცემლობის
„ქუ ალომუნისტი“. | რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. | ფასი 20 კაპ. |



ვერტიკალურად: 1. კითხვითი ნაცვალსახელი; 2. სამკურნალო მცენარე; 3. განთიადი, ანუ... 6. საღებავი; 7. ქალაქი საქართველოში; 8. დედამიწის სახელწოდება ბერძნულად; 9. გარეული ფრინველი; 10. კავშირი; 11. ხის ჯიში; 12. ნ. ლომოურის მოთხრობა; 14. რძის ნაწარმი; 18. თანხმობის ნაწილაკი; 20. ძველი კოლხეთის დედაქალაქი; 21. საოჯახო ნივთი; 23. ქალის სახელი; 24. გარეული ცხოველი; 25. მდინარე სსრკ-ში; 26. ხის ჯიში; 28. ყაზბეგის ნაწარმოების გმირი; 30. ვ. ი. ლენინის დის სახელი; 31. ნავსადგური შავ ზღვაზე; 32. ძველი ქართული გაზეთი.

ჰორიზონტალურად: 1. ტბა საქართველოში; 3. თხის ჯოგი; 4. მტაცებელი ფრინველი; 5. მცენარე; 7. მღრღნელი ცხოველი; 10. მჭრელი იარაღი; 13. კუნძული ინდოეთის ოკეანეში; 14. საბჭოშვილ ჟურნალი; 16. ვერდის ოპერა; 17. ქალაქი ინდოსტანის ნახ. კუნძულზე; 19. ყვავილი; 21. ქედი საბჭოთა კავშირში; 22. ბერძნული ანბანის ერთ ერთი ასო; 24. საშენი მასალა; 27. ყაზახი მწერალი; 29. მწვერვალი კავკასიონზე; 31. ხილი.

შეადგინა **გ. ხუციტაშვილმა,**
თელავის მე-2 საშ. სკოლის IX კლ. მოსწავლეთ.

სცადეთ წაიკითხოთ

მოძებნეთ ხერხი და აქვე მოთავსებული ცხრილის დახმარებით წაიკითხეთ ქვემოდ დაშიფრული ტექსტი—ვაჟა-ფშაველას სიტყვები.

რ. ოვდიდიშვილი

	—	|	\	/	•
△	რ	ს	ლ	ა	ჩ
▷	ი	ზ	ტ	ხ	ქ
▽	მ	ვ	უ	დ	ო
◁	ფ	ბ	ყ	ე	



გამოცანები

1.

საბრძოლველად
შემართული
ბადეში ზის
მებადური.

2.

სული სხვისი,
ტყავი ჩემი.
ფეხს გამკრავ და
გავიქცევი.

გ. ჭიჭინაძე

პასუხები

თავსატეხი



ფიგურა იყოფა ექვს ტოლ ნაწილად ისე, როგორც ეს ნახაზზეა ნაჩვენები.

კროსვორდი

ჰორიზონტალურად: 1. გორი; 3. მეხი; 4. ცომი, 5. არყი; 7. ღომი; 9. ბადე; 10. სოჭი; 12. „აიდა"; 15. ბრესტი; 16. აბაი; 18. კომი; 19. ხუფი; 20. იარა; 21. იორი; 23. ნევა; 24. ალოე; 25. ოთხი.

ვერტიკალურად: 1. გემო; 2. ილია; 4. ცელი; 6. იდეა; 8. იპრიტი; 9. ბატონი; 10. სენა; 11. ჭიქა; 13. იკუო; 14. ასლი; 17. იხვი; 18. კამა; 22. იაგო; 23. ნები.

ამოცანა

28 დღეში.

გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა ეკუთვნის **რ. ცუცქირიძეს,**
მეორე და მეოთხე გვერდებისა—**თ. სამხონაძეს.**

23/368
ეროვნული ბიბლიოთეკა

სასურველია
ჟურნალი გამოიწერო
მთელი წლით!

დრო ზე გამოიწერეთ ჟურნალი ბავშვები 1962 წლისთვის!